# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ერთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 31 მარტი – 1 აპრილი. 2018 წ. №66-67 (8467-8468), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

# დღევანდელი ქართველობა ბედნიერ საქართველოს უნდა მოვესწროთ!

## ბიძინა ივანიშვილი მიმართავს ამომრჩეველს

ექსკლუზივი



**მართალი გითხრათ, ბევრი ვიფიქრე, დამეწერა თუ არა ეს მიმართვა, ჩემს ოჯახსაც მოვეთათბირე და მეგობრებსაც, ღირდა თუ არა მაინცდამაინც ამ დღეებში დავლაპარაკებოდი ჩვენს ხალხს და გულახდილად, გულწრფელად მეთქვა მთელი ჩემი გულისნადები.**

მარტო ახლა კი არა, ბევრი, როგორც იტყვიან, მტერ-მოყვარე ადრეც მეუბნებოდა, იყავი შენთვის წყნარად, მხართეძოზე წამოწოლილმა გაატარე უზრუნველად შენი წილი ეს ხანმოკლე წუთისოფელიო. რა აუტკივარ თავს იტკივებო, ბოლოს მაინც უმადურობასა და დაუნახაობას წააწყდები და გულნატკენი დარჩებიო. იქნებ ამ რჩევაში რაღაც სიმართლის მარცვალი ურევია კიდეც, მაგრამ ჩემი ქვეყნის და ჩემი ხალხის ბედ-იღბლისგან განკერძოებით ცხოვრება ჩემთვის არა მარტო წარმოუდგენელია, არამედ, მიუღებელიც არის.

ვინც რა უნდა თქვას, მე მაინც ჩემი გულისხმას ვუგდებ ყურს, ჩემი გულის კარნახით ვწერ ამ მიმართვასაც, ჩემი გული კი, როგორც ეს ერთხელ უკვე ითქვა ერთი ცნობილი მამულიშვილისგან, ჩემს ქვეყანას და ჩემს ხალხს ეკუთვნის!

შევეცდები, რომ სიტყვა არ გავიგრძელო, მოკლედ და გასაგებად ვთქვა ჩემი სათქმელი, რაც კარგა ხანია, დამიგროვდა. გრძელი და ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკით, როგორც საფქვავდაუყრელი წისქვილის ფუჭი ღრიტინით, ისედაც უკვე გვარიანად დაღლილია ჩვენი ხალხი, რომელიც ბოლო თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე ვერა და ვერ გაიმართა წელში და რომელმაც გადაუჭრელი პრობლემების თვალჩაუწვდენელ ჯურღმულს დღემდე საკადრისად ვერ დააღწია თავი.

იხ. 3 გვ.

## ნაცებთან თანამშრომლობა გამორიცხულია!



**რაიმე ტიპის მოლაპარაკებაში ან გარიგებაში ყოფნა იმ პოლიტიკურ ძალასთან, რომელმაც დაგვიტოვა 2008 წლის მემკვიდრეობა საოკუპაციო ძალასთან ერთად, არის გამორიცხული** — ეს განცხადება პრემიერ-მინისტრმა ხონში, პარლამენტის შუალედურ არჩევნებზე ვანისა და ხონის საარჩევნო ოლქში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ გივი ჭიჭინაძის წარდგენისას გააკეთა.

**— თვალს ვადევნებ, მასმედიის საშუალებებით გავრცელებულ სხვადასხვა ინფორმაციას. გავრცელდა ჭორი, რომ ჩვენ გარკვეულწილად კარტბლანშს ვაძლევთ „ნაციონალურ მოძრაობას“ თუ მათთან დაკავშირებულ, მათი ყოფილი თანაგუნდელების მიერ შექმნილ პარტიებს და აშ.**

**მინდა, გითხრათ რაიმე ტიპის მოლაპარაკებაში ან გარიგებაში ყოფნა იმ პოლიტიკურ ძალასთან, რომელსაც ბრალი მიუძღვის ჩვენი ქვეყნის წინაშე, რომლებმაც დაგვიტოვეს 2008 წლის მემკვიდრეობა საოკუპაციო ძალასთან ერთად, ვერ აიცილეს თავიდან ვერც ერთი ყველაზე მძიმე პროვოკაცია საქართველოს უახლეს ისტორიაში, არის გამორიცხული. გამორიცხულია მათთან ან მათ დანაყოფ პარტიებთან რაიმე ტიპის თანამშრომლობა ან მეგობრობა,** — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.



დიპლომატიური ტრაგიკომედია

## გაძევებული „დიპლომატი“, „შევიწროებულთა აჯანყება“ და მანიაკები

④

## შეტაკება პალესტინელებსა და ისრაელის არმიას შორის

**ღაზას სექტორის საზღვართან მომიტინგე პალესტინელებსა და ისრაელის არმიას შორის მომხდარი შეტაკებების შედეგად დაღუპულია 6 პალესტინელი, დაშავდა 550-ზე მეტი. ისრაელის არმია ცეცხლსასროლ იარაღს იყენებს, აქციაში — „დაბრუნების დიდი მარში“ მონაწილე პალესტინელები წვავენ საბურავებს და ისრაელის სამხედროებს ქვებს ესვრიან. ისრაელის სამხედროების ცნობით აქციაში 17 ათასი პალესტინელი მონაწილეობს, რომლებიც სასაზღვრო ბოძებსა და მავთულხლართების დაზიანებას აალებადი საშუალებებით ცდილობენ...**



გურამ ბათიაშვილი

## ოთხი თავი ახალი წიგნიდან

- მწერლის სიტყვის ძალა
- იოსებ ნონეშვილის გმირობა
- ერთობ ღარიბი მდიდარი კაცი
- თიხა ვინ აამეტყველა?

⑥

# გილოცავთ ბზობას — იესო ქრისტეს დიდებით შესვლას იერუსალიმში!





# ინფრასტრუქტურის მინისტრის პოსტზე ზურაბ ალავიძე მაია ცქიტიშვილმა შეცვალა

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პოსტზე ზურაბ ალავიძე მაია ცქიტიშვილმა შეცვალა.აღნიშნულ პოსტზე მთავრობის ადმინისტრაციის უკვე უფროსი პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა წარადგინა.

**„მინდა, წარმოგიდგინოთ ერთი სამთავრობო ცვლილება. წელიწად-ნახევრის წინ, როდესაც ზურაბ ალავიძე დაინიშნა მთავრობის ადმინისტრაციაში სტრატეგიული პროექტების მართვის განყოფილების უფროსად, რომელსაც ევალა რეგიონული პროექტები, მახსოვს, კარგა ხანი დამჭირდა მისი საჯარო სამსახურში წამოსვლაზე დაყოლიებისთვის.**

**მაშინვე ამბობდა, რომ იგი საკუთარ თავს, გრძელვადიან პერსპექტივაში, ვერ ხედავდა საჯარო სექტორში, გამომდინარე იქიდან, რომ მე მას 20 წელია, ვიცნობ და ყოველთვის იყო კერძო სექტორში.**

**მინდა ვთქვა, რომ ზურა ყოველთვის, სადაც მუშაობდა და მე მას დიდი ხანია, ვიცნობ, იყო გამორჩეულად ეფექტური მენეჯერი. ის ყოველთვის იყო ბიუროკრატიის წინააღმდეგი და შედეგებზე ორიენტირებული ადამიანი. მან ეს დაადასტურა საკუთარი მუშაობითაც მთავრობაში, მათ შორის, ძალიან მნიშვნელოვან თანამდებობაზე, ეს გახლავთ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის თანამდებობა, სადაც მან 4-პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებაში — სივრცითი განვითარების კომპონენტში სერიოზული პროგრესი აჩვენა.**

**დაწყებულია ძალიან მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიცაა: რიკოთის მონაკვეთის პროექტი; ქუთაისიდან აბასთუმანთან შემაერთებელი გზა; დაპროექტებულია და მალე დაიწყება ქუთაისისა და სვანეთის შემაერთებელი გზა, ასევე, ზემო იმერეთისა და რაჭის შემაერთებელი გზა; წყალმომარაგების პროექტებში - 300 000-მდე ადამიანის საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესდა მის მიერ განხორციელებული პროექტების შედეგად, ასე რომ, მე მინდა, მას დიდი მადლობა გადავუხადო გაწეული სამუშაოსთვის და წარმატება ვუსურვო მის შემდგომ საქმიანობაში, სადაც დარწმუნებული ვარ, წარმატებული იქნება.**

**მინდა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის თანამდებობაზე წარმოგიდგინოთ მაია ცქიტიშვილის კანდიდატურა. მაია გახლდათ მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი 2012 წლიდან დღემდე, ძალიან წარმატებული უფროსი. ჩემთვის არ არის მარტივი ამ გადაწყვეტილების მიღება, ვინაიდან ვფიქრობ, რომ მთავრობის ადმინისტრაციაში ის საქმე და საქმის ის მოცულობა, რომელსაც მაია ძალიან წარმატებით უძღვებოდა, რთული შესავსები იქნება. რთული იქნება ამ პოზიციაზე ისეთი ადამიანის მოძებნა, რომელიც ასეთივე წარმატებით გაუძღვება ძალიან მნიშვნელოვან საქმეს, მაგრამ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის თანამდებობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მე მიწევს ამ გადაწყვეტილების მიღება და დარწმუნებული ვარ, რომ მაია იქნება ძალიან წარმატებული მინისტრი! დარწმუნებული ვარ, რომ სივრცითი განვითარების მიმართულებით ჩვენ კიდევ ვნახავთ ძალიან დიდი წარმატებებს.**

**მე მინდა, მაიას ვუსურვო წარმატება ამ ახალ თანამდებობაზე და დარწმუნებული ვარ მის წარმატებაში!“**



# ნურსულთან ნაზარბაევი: დამოუკიდებლობის ერა

საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში შედგა ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის წიგნის „დამოუკიდებლობის ერა“ პრეზენტაცია. შესავალი სიტყვით დამსწრე საზოგადოებას მიმართა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ, შემდეგ სიტყვა გადაეცა საქართველოში ყაზახეთის ელჩის მოვალეობის შემსრულებელ გულმირა სულთანალის. წიგნისა და საქართველო-ყაზახეთის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის შესახებ ისაუბრეს კავკასიის ისტორიის, გეოპოლიტიკის და ეკონომიკური კვლევების ცენტრის დირექტორმა ნიკოლოზ მეტრეველმა, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გურამ ლორთქიფანიძემ, ახალგაზრდა მეცნირებმა და სტუდენტებმა.




როგორც ქალბატონმა გულმირა სულთანალიმ აღნიშნა, — ეს წიგნი მხოლოდ ყაზახი ხალხისთვის არ არის დაწერილი. მასში სხვა ხალხებზეც არის საუბარი. ასევე მან აღნიშნა, რომ საქართველოს და ყაზახეთს ურთიერთობის დიდი ისტორია აქვს. სწორედ ამიტომაც გასულ წელს მეცნიერებათა აკადემიაში აღინიშნა ამ ორი ქვეყნის დიპლომატიური ურთიერთობის 25 წლის იუბილე.

**რევაზ თოფურია**

# რუსი დიპლომატის გაძევების შემდეგ რუსეთისგან კონკრეტულ ნაბიჯებს ველოდებით



**საქართველოდან რუსი დიპლომატის გაძევების შემდეგ ქართული მხარე რუსეთის მხრიდან კონკრეტულ ნაბიჯებს ელოდება. რუს დიპლომატს საქართველოს ტერიტორიის დატოვებისთვის შვიდდღიანი ვადა აქვს, თუმცა ამ დრომდე უცნობია მისი ვინაობა.**

საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთში ზურაბ აბაშიძე ვერ აკონკრეტებს, შეუშლის თუ არა ხელს რუსი დიპლომატის გაძევებასთან დაკავშირებით თბილისის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აბაშიძე-კარასინის მომდევნო შეხვედრას. კონსულტაციების მორიგი რაუნდი პრაღაში აპრილში იგეგმება, თუმცა ზუსტი თარიღი ამ დროისთვის უცნობია. ზურაბ აბაშიძის თქმით, საჭიროა ქვეყანა რუსეთის რეაგირებას დაელოდოს და მხოლოდ ამის შემდეგ განსაზღვროს სამომავლო გეგმები.

# ირმა ინაშვილი: წინასაომარ ვითარებაში ვართ...რუსეთი რომ აქეთ ტანკებით დაიძვრება... პირველი ესენი შეუძვრებიან!

**— ჩვენი ქვეყნის გარშემო მიმდინარე პროცესს თუ გადავხედავთ, პრაქტიკულად, წინასაომარ ვითარებაში ვართ, ამაზე 2008 წლის ომის წინა პერიოდი, ივნის-ივლისი მახსენდება** — აცხადებს „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი. პირველი არხის გადაცემაში „აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად“ , ირმა ინაშვილმა განაცხადა, რომ ტრაგიკომედიაა, როდესაც რუსეთთან საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა არა აქვს და შვეიცარიის საელჩოში რუსეთის სექტორის რიგითი თანამშრომელი თურმე, საქართველოდან მხოლოდ იმიტომ უნდა გაუშვან, რომ ბოკერიამ, ბარამიძემ, ბაქრაძემ და სხვებმა ისიამოვნონ. ინაშვილი პარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციასაც გამოეხმაურა და განაცხადა, რომ მისი მიღება შეცდომა იყო:



**„ეს არის შედეგი ჩვენი რეაქციებისა. მაგალითად, თავისთავად მნიშვნელოვანი რეზოლუციის მიმართ, რომელიც მივიღეთ და რომლის სულისკვეთებასაც ვიზიარებთ, მეტიც, მასთან მიმართებაში ჩვენ უფრო მკაცრი პოზიციებიც კი გვქონდა, რათა იქ სხვადასხვა ნიუანსები, თუნდაც, დამნაშავეთა დასჯასთან დაკავშირებითაც ასახულიყო, მაგრამ ეს პოლიტიკაა და ჩვენ ჩვენი ქვეყნის ეროვნული, სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან უნდა გამოვდიოდეთ; ზუსტად გვესმოდეს, ამ რეზოლუციას რა დროს ვიღებთ, რუსეთის მხრიდან რა საპასუხო რეაქციები იქნება და ეს ჩვენს ქვეყანას რას მოუტანს.**

**ეს რეზოლუცია დღეს, ამ ვითარებაში, ამ ფორმით, ამ კონტექსტით არ უნდა მიღებულიყო და ჩვენმა ფრაქციამ მას მხარი ამიტომ არ დაუჭირა. ან სოლიდარობას ვის ვუცხადებთ?! რუსეთი რომ აქეთ ტანკებით დაიძვრება, თქვენს სტუდიაში მსხდომი ექსპერტებიდან, რომელი ერთი წავა და საქართველის მიწებს დაიცავს?! თუ საჭირო გახდა, იმ რუსებს პირველი ესენი შეუძვრებიან. ეს კინო ნანახი მაქვს“,** — განაცხადა ირმა ინაშვილმა.

# დიდმა ბრიტანეთმა საქართველოს მხარდაჭერისა და სოლიდარობისთვის მადლობა გადაუხადა

**საქართველოს ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე საქართველოში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ელჩს ჯასტინ მაკკენზი სმიტს შეხვდა.**

ელჩმა საქართველოს საგარეო უწყების ხელძღვანელს მადლობა გადაუხადა იმ მხარდაჭერისა და სოლიდარობისთვის, რომელიც საქართველომ გამოხატა ბრიტანეთისადმი და მათი ნაბიჯებისადმი ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტზე რეაგირების კუთხით. დიდი ბრიტანეთი და საქართველო, როგორც სტრატეგიული პარტნიორები, აღნიშნულ ფაქტს განიხილავენ საერთო უსაფრთხოებისთვის სერიოზულ გამოწვევას და ხაზს უსვამენ საერთაშორისო საზოგადოების კონსოლიდირებული პოზიციის აუცილებლობას.

საგარეო საქმეთა მინისტრმა, თავის მხრივ, ელჩს მადლობა გადაუხადა გაერთიანებული სამეფოს მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის, ისევე როგორც ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერისთვის. გაერთიანებული სამეფო, ყველა საერთაშორისო ფორმატში, საქართველოს მტკიცედ უჭერს მხარს, რაც კიდევ ერთხელ გამოიხატა გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოში ბრიტანეთის დიპლომატიურ ძალისხმევაში.

# ირაკლი კობახიძე NDI-ს ექსპერტს შეხვდა

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მოწვეულ ექსპერტს მარი-ანდრე ლაჟუას შეხვდა.**

შეხვედრაზე, რომელსაც ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი ლორა თორნტონიც ესწრებოდა, ექსპერტმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, პარლამენტის სასწავლო ცენტრის საჭიროებათა კვლევის შედეგები და რეკომენდაციები წარუდგინა და პარლამენტებში სასწავლო ცენტრების ფუნქციონირების შესახებ საერთაშორისო მოდელები გააცნო.

შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა რეკომენდაციები, რომლებიც საპარლამენტო სასწავლო ცენტრის საქმიანობას კიდევ უფრო მოქნილსა და მობილურს გახდის. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოხდება წარმოდგენილი რეკომენდაციების განხილვა და შემოთავაზებული ვარიანტებიდან ყველაზე მეტად მისაღები მოდელი აირჩევა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადებით, აღნიშნული მიმართულებით თანამშრომლობა ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტთან და სხვა საერთაშორისო დონორებთან გაგრძელდება.

# სპორტის სასახლის უკან არსებული შენობა-ნაგებობები არის გიგი უგულავას ნამდვილი სახე!



**სპორტის სასახლის უკან არსებული შენობა-ნაგებობები არის გიგი უგულავას ნამდვილი სახე,** — აცხადებს თბილისის მერი კახა კალაძე და ქალაქში არსებულ ქაოტურ მშენებლობებზე პასუხისმგებლობას წინა ხელისუფლებას აკისრებს:

**— მათი დამსახურებაა, სწორედ მათი მმართველობის პირობებში მოხდა მშენებლობების იმ ნებართვების გაცემა, რა დღეშიც დღეს ჩვენ ვიმყოფებით. სპორტის სასახლის უკან არსებული შენობა-ნაგებობები არის გიგი უგულავას ნამდვილი სახე, რომელიც გამოვიდა „რუსთავი-2“-ის ეთერში, თუ სწორად მახსოვს და ამაყობდა, რომ საუკეთესოა ის განაშენიანება, რომელიც სპორტის სასახლის უკან არისო. ეს ნათელი მაგალითია იმის, თუ როგორ არ უნდა განავითარო ქალაქი“...**

# დღევანდელი ქართველობა ბედნიერ საქართველოს უნდა მოვესწროთ!




(პირველი გვერდიდან) მე, არაპოლიტიკოსი, სწორედ ჩვენი ქვეყნის ამ გადაუჭრელ პრობლემათა სიუხვემ ჩამრთო დიდ პოლიტიკაში და შეძლებისდაგვარად ვცდილობ, რომ ამ მხრივაც გამოვადგე ქვეყანასა და ხალხს. თუმცა, რა დასამალია, მართალი თუ მტყუანი, ბევრი კრიტიკოსი გამოჩნდა ამ ბოლო დროს. მე, როგორც „ქართულ ოცნებასთან“ გაიგივებულს, ეგრეთ წოდებულმა ოპოზიციამ, ანუ ცხოვრების ასპარეზიდან ჯერ კიდევ სრულად გაურიყავმა ნაციონალებმა და, დიდად სამწუხაროდ, ამ აშკარად დრომოჭმული მოძრაობის ფეხის ხმას აყოლილმა უსახურმა პარტიებმა და დაბნეულმა ადამიანებმა ბოლო ხუთ თუ ექვს წელიწადში ნამდვილად წისქვილის ქვის ქვეშ მომაქციეს და მღერღავენ. ეს ეგრეთ წოდებული ჩასაფრებულთა კრიტიკა დიდწილად ვიწრო პარტიული და ხელისუფლებაში კვლავ მოსვლის დაუოკებელი ჟინით რომ არ იყოს გაჯერებული და ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობას ისახავდეს მიზნად, ერთ-ერთი პირველი მე დავუჭერდი მხარს, რადგან დიახაც, ქართველთა ეს გაუთავებელი ურთიერთჭამა სერიოზულად აფერხებს ჩვენს სოციალურ-ეკონომიკურ და თუნდაც პოლიტიკური კულტურის მხრივ წინ მოძრაობას. მთელი უბედურება ის არის, რომ ყველას ერთნაირად არ გვესმის სამშობლოსთვის ზრუნვა, თუმცა ეჭვი არ მეპარება, რომ სიყვარულით, ალბათ, შედარებით ერთნაირად გვიყვარს ჩვენი მრავალტანჯული საქართველო, რომელიც ოფიციალურად დამოუკიდებელი კია, მაგრამ თავისუფლებისა და დემოკრატიის თვალსაზრისით, ჩემი გაგებით, ჯერ კიდევ ბევრი აკლია, რასაც მხოლოდ ისევ ჩვენი, ქართველთა, შეგნებული გაერთიანება თუ წაგვადგებოდა.

მაგრამ ვაი რომ გაერთიანება კი არა, უკვე აშკარად შინაბრძოლაა გაჩაღებული ძალაუფლებისთვის და სამშობლოსთვის ზრუნვას ძალიან ბევრი საკუთარი თავისთვის ზრუნვაში ურევს. ეს ადამიანები, ნაირ-ნაირ პოლიტიკურ პოლიტიკურ პარტიებს ამოფარებული, არანაირ სიბინძურეს არ ერიდებიან და ყველაფერს კადრულობენ, ოღონდ როგორმე ჩირქი მოსცხონ „ქართულ ოცნებას“, რომელმაც, მართალია, არაერთ წინასაარჩევნო დაპირებას ვერ დაადგა თავი, მაგრამ მოდით, ნუ დავემგვანებით იმ ერთ თვალგამდგარს, რომელიც რიყეზე ქვას ვერ ხედავს. ამ მხრივ, მოგეხსენებათ, რა დონეზე „ყოჩაღობენ“ ნაციონალები, უფრო სწორად, ქვეყნისა და ხალხის წინაშე ნამდვილად დამნაშავე სააკაშვილის ნარჩენები, რომელთაგან თვითნებურად გამთავარხებული „რუსთავი-2“ მთელი ოცდაოთხი საათი მხოლოდ ხელისუფლებისა და „ოცნების“ სახელის გატეხასა და ლაფში ამოსვრას უნდება. არა მგონია, ვინმეს აეჭვებდეს, რომ ამ არხის უმთავრესი იდეოლოგიური დანიშნულება სწორედ ეს არის.

არა მგონია, აგრეთვე ისიც, რომ მიუკერძოებელი პირუთვნელი ქართველი თუ საერთოდ საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, ვერ გრძნობდეს და ვერ ხედავდეს იმ თუნდაც ცოტა, მაგრამ მაინც სასიკეთო ძვრებს, რაც ამჟამინდელ ხუთწლიან პერიოდს წინა ავტორიტარულ-დიქტატორული რეჟიმისგან განასხვავებს. მაგრამ, ამის მიუხედავად, მე სულაც არ ვაპირებ არც პირადად ჩემს ანდა „ოცნების“ ხელისუფლების რაიმე საკითხში გამართლებას. ეს, ჯერ ერთი, არც სწორი იქნებოდა და, მეორეც, გაუკეთებლის გაკეთებულად გამოცხადება, ნამდვილად უკადრისი საქციელია, რასაც, სავალალოდ, ხშირად მიმართავდნენ და ახლაც ხელსაც არ აკლებენ სამარცხვინოდ რეიტინგდაცემული პოლიტიკური პარტიები ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად გაშმაგებულ თავიანთ ლიდერთა თავკაცობით.

ამ ჩემს გულისთქმის გადმოშლაში უწინარესად ბოდიში უნდა მოვუხადო ჩვენს ამომრჩეველს, რომელსაც ზედმეტად ბევრს დავპირდით, მაგრამ ყველაფერს თავი ვერ დავადგით. ამის მიზეზი, ცხადია, ძალიან ბევრია, თუმცა ხალხი სრულიად სამართლიანად საქმეს ითხოვს ჩვენგან და არა წინასაარჩევნო დაპირებათა შეუსრულებლობის მიზეზებს. მაგრამ მე რომ არც ვთქვა, დარწმუნებული ვარ, ჩვენი მიუკერძოებელი, შეგნებული ამომრჩეველი ისედაც ცხადად ხედავს ამჟამინდელი დესტრუქციული ოპოზიციის მიერ ხელისუფლებისათვის გააფთრებულ ხელისშემშლელ საქმიანობას, რაც არა მარტო აფერხებს, არამედ ხშირ შემთხვევაში შეგნებულად ამუხრუჭებს ბევრ სასიკეთო ძალისხმევას და უამრავ დროს აკარგვინებს ხელისუფლებას. არადა, ოპოზიციასთან ურთიერთობაში ასე ფუჭად დაკარგული დრო უნდა არაერთ საქვეყნო საქმეს მოხმარებოდა.

მე უკვე ვთქვი და კვლავაც გავიმეორებ, რომ გაუკეთებლის გაკეთებულად გამოცხადება არასაკადრისი საქციელი და უზნეობაა, მით უმეტეს, უსაგნო ტრაბახი, მაგრამ, როცა სინამდვილეს მიზანმიმართულად ამახინჯებენ და მსმენელს თუ მკითხველს სწორი ინფორმაციის ნაცვლად დეზინფორმაციას აწვდიან და ყოველგვარ იდეოლოგიურ ფანდსა და ილეთს იყენებენ, რათა ხალხის თვალში „გაამაიმუნონ“ ხელისუფლება, ძირი გამოუთხარონ არსებულს და გზა ასე ულირსად გაიკაფონ მომავალი არჩევნებისკენ, აუცილებლად მიმაჩნია ხალხისთვის სიმართლის თქმა, თუმცა ხალხი ჩვენგან უთქმელადაც ხვდება და ხედავს, ვინ სად ტყუის და ვინ სად მართალია. აი, მაგალითად, ოპოზიცია, ისევ მოსატყუებლად, ხალხს პენსიას 400 ლარამდე გაზრდას ჰპირდება, ხელისუფლება კი რეალურ ციფრებზე ლაპარაკობს, რაც პენსიასაც და სოციალურ შემწეობასაც ნამდვილად გაზრდის ბიუჯეტის შესაბამისად. ჯერჯერობით, ფეხს ისე ვშლით, საბანი როგორც გვწვდება.

ადამიანების გარკვეულ წრეს ჯერ კიდევ კარგად ახსოვს, რა დღეშიც იყო მასმედია, ბიზნესი, საერთოდ თავისუფალი აზრი ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლამდე, ხალხს არც ის დავიწყებია და, ალბათ, არც არასოდეს დაავიწყდება რა ძალადობას და ძალმომრეობას მიმართავდა ის ხელისუფლება, რომლის პოლიტიკური მოღვაწეობის შედევრად დარჩება „ცოცხების ეპოპეა“. ხალხმა სწორი ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო. 2012 წელი თვალსაჩინო წყალგამყოფად იქცა ძველ სასტიკ რეჟიმსა და ახალ, დემოკრატიულობის სულისკვეთებით გაჯერებულ სისტემას შორის.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ჯერ იმდენი არ გაკეთებულა, რამდენსაც „ქართული ოცნება“ შეპირებულია თავის ამომრჩეველს, რომელსაც კარგად ესმის, რომ ქალაქი კი არა, სოფელიც არ აშენებულა ერთი ხელის დაკვრით. მთავარი მაინც ის არის, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ფასადურს მტკიცე უარი ეთქვა და ცხოვრების „შინაგან“ დემოკრატიას ჩაეყარა მყარი საფუძველი, რომელზეც შენდება დღეს ჯერ ისევ სიღარიბის არტახებდაუწყვეტელი ჩვენი ქვეყანა.

განა ქვეყნის დემოკრატიულობაზე არ მეტყველებს თუნდაც თვით „რუსთავი-2“-ის გამუდმებული ანტისახელისუფლებო მაუწყებლობის არსებობა?! ჯანსაღი კრიტიკა, რასაკვირველია, აუცილებელი და უებარი წამალია ხვალინდელი კეთილდღეობისთვის მებრძოლი და მშრომელი საზოგადოებისათვის, მაგრამ განა ჯანსაღი კრიტიკაა, ქვეყნის აღმშენებლობის სურვილიდან გამომდინარე, ისეთი გადაცემები, როგორც „ქერის უბანი“, ან „ვანოს შოუ“, ან „აქცენტები“ ან „P. S.“ ანდა, საერთოდ, საინფორმაციო სამსახური („კურიერი“). ეს ფაქტობრივად ერთპარტიული, კერძო, პირადად სააკაშვილის არხია, რომლის არა ქვეყნის საკეთილდღეო, არამედ „უნიათოდ“ და „უუნაროდ“ მონათლული ხელისუფლების გაუთავებელი კედელთან მიჭირხვნის, დაცინვის, გამასხრებისა და გაპამპულების წყაროა.

ცოტა არ იყოს, იქნებ უხერხულია, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ პირადად მე, ამ არხისგან განიადაგებულ ცილისწამებაში მიხდება ცხოვრება. მკითხველს უთუოდ ახსოვს, რამდენჯერ დამდო ბრალი „რუსთავი-2“-მა ხან რაში და ხან რაში, მაგრამ ყველაფერში გამტყუნდა. ახლა ხეები აქვთ ამოჩემებული, თითქოს მე არა შეკვეთილის დენდროლოგიურ პარკს ვაშენებდე, არამედ ჩემს ეზოში გადმომქონდეს ასწლოვანი ხეები და ფაშასავით განცხრომას ვეძლეოდე. სამწუხაროდ, ზოგიერთი გულუბრყვილო ადამიანი ამ ცილისწამებას იჯერებს და სიმართლე ჰგონია, რომ მე თურმე ვანადგურებ ჩვენი საყვარელი სამშობლოს ეკოლოგიას.

მაგრამ თუ მართლა დემოკრატიას ვაშენებთ, მე მოთმინების გარდა, სხვა გზა არა მაქვს. ესე იგი, გააჩნია ქვეყნის დემოკრატიულობას ვინ როგორ ან რისთვის იყენებს.

რა ვუყოთ, რადგან ცხოვრება თავისებური ბრძოლაა, ჩვენც იმის იმედით უნდა ვიბრძოლოთ, რომ საბოლოოდ კეთილი სძლევს ბოროტს. რაც შეეხება ჩემ მიერ ზემოთ აღნიშნულ მდგომარეობას, ოპოზიციის გამუდმებულ ცილისმწამებლურ თავდასხმებსა და გამოხდომებს გულუბრყვილო, მიამიტი ადამიანების შეცდომაში შეყვანის მიზნით, როგორც აქამდე, კვლავაც უნდა გავუძლოთ და მგლის შიშით ცხვარს არ გავწყვეტთ.

ჩვენ რაც დავპირდით ხალხს, მართალია, ცოტა დაგვიანებით, მაგრამ ყველაფერს აუცილებლად თავს დავადგამთ. მთავარია, ხალხს სჯეროდეს ჩვენი. პირადად ჩემი ცხოვრების მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხის კეთილდღეობაა. ამ მხრივ თავის შერცხვენა, ვიცი, სიკვდილის ტოლფასია!

**წინ არჩევნებია, როგორც საპრეზიდენტო, ისე საპარლამენტო. ვინაიდან მოყვარეცა და მტერიც ყველაფერს, კარგსაც და ავსაც, მე მაწერენ, ახლა იმ საგონებელში ვარ, მართლაც ხომ არ აჯობებს, ერთი ვადით პრეზიდენტად ვიყარო კენჭი. მაინც ხელისუფლების არაფორმალური მართვა მე მბრალდება და ბარემ ხელისუფლებაში ვიქნები.**

ვნახოთ, წინ კიდევ საკმარისი დროა!

მე მხოლოდ ის აზრი მაცოცხლებს, ჩემო საყვარელო ხალხო, თქვენთან ერთად მოვესწრო ისეთ დალხენილ საქართველოს, რომ ყველამ ერთად მსოფლიოს გასაგონად გულსავსედ შევძახოთ: სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა!..

**სიყვარულითა და პატივისცემით**

**ბიძინა ივანიშვილი,**

**საქართველოს მოქალაქე,**

**თბილისი, 1 აპრილი**

## საპირველაპრილო

# ნობელის პრემია

დღეს მე მომენიჭა პრემია ნობელის,
მე დღეს ნობელის პრემია მომანიჭეს.
მე ახლა არ ვიცი, ხვალ რა მომელის,
მე ახლა ქუჩაში ისე მივაბიჯებ,

თითქოს მე ვიყო ბორის პასტერნაკი,
დღეს მე პოეტი ელიოტი ვარ,
მე ახლა მელოდება ჩემი სენაკი
და პოეზიის კლასიკური მოტივი.

მე დღეს ვარ შენი ნობელიანტი,
ორმოცი წიგნის და სამი შვილის მამა,
ამ მეტაფორით მაიაკოვსკის ვგავარ,
გამორიცხულია სხვა ვარიანტი.

რა შუაშია პირველი აპრილი,
შერეკილები თუ ვართ პოეტები,
მე უკეთ ვიცი, რასაც ვაპირებ,
ნობელიანტის ოქროს მონეტებით.

მე მოვათვინიერე დრო და დროები,
მივდივარ, მდინარესთან მიცდის
ქარონი,
მინდა, ავაშენო სახლი სათნოების
და შიგ შევასახლო უსახლკარონი.

დღეს მე მომენიჭა ნობელის პრემია,
დღეს მე ვარ შენი ნობელიანტი,
სხივები იპნევა – მზიანი აპრილია,
მაგრამ არის კიდევ მეორე ვარიანტი.

აპრილში დაიბადა ვლადიმერ ლენინი,
ნიკოლოზ მეორე და ლენინი მტრებია,
გუმელიოვი ვარ – პოეტი დევნილი
და თავისუფლება მომნატრებია.

მე ახლა არ უნდა
ვამბობდე ამას,
შინაური მტრისგან თავი
მაქვს დასაცავი,
მე გამიმარჯოს სამი
შვილის მამას,
ნობელის პრემია იქ იყოს,
სადაც არი!



**შოთა ზოიძე**

**დღეს საქართველოში:**

**— წამების შედეგად დაზიანებული ჯანმრთელობის გამო გარდაცვლილი სულხან მოლაშვილის მიერ მის წამებაში მხილებული გიგა ბოკერია პარლამენტის წევრია.**

**— 48 მილიონის გაფლანგვაში ბრალდებული გიგი უგულავა ხონისა და ვანის რაიონებიდან საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატია.**

**— სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-დან სხვადასხვა გადაცემების საშუალებით მიმდინარეობს ანტისახელმწიფოებრივი მოწოდებების და პროვოკაციების ნიაღვარი.**

**— სხვადასხვა მედიასაშუალებები ახდენენ ინციდენტის დამახინჯებულ წარმოჩენას — „გინება და ცემა ქრისტეს სახელით“ და ამით ცდილობენ სკანდალური ფონის შექმნას.**

**— ქალთა მიმართ ძალადობაში დაადანაშაულეს ქალთა უფლებების დამცველი, ერთ-ერთი გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი.**

**— სოლსბერიში ყოფილი რუსი აგენტის სერგეი სკრიპალის მოწამვლასთან დაკავშირებით საქართველო ქვეყნიდან რუს დიპლომატს აძევებს.**

**ბოლოდან დავიწყებ.**

# გაძევებული „დიპლომატი“, „შევიწროებულთა აჯანყება“ და მანიაკები



**„შვეიცარიის საელჩომ მიიღო და რუსეთის ინტერესების სექციას გადასცა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა მოთხოვნით, რუსეთის ინტერესების სექციის თანამშრომელმა დატოვოს საქართველო. ამ მოთხოვნას ზეგავლენა არ ექნება შვეიცარიის მანდატზე, წარმოადგინოს რუსეთის ინტერესები საქართველოში და საქართველოს ინტერესები რუსეთში“,** — ნათქვამია შვეიცარიის საელჩოს განცხადებაში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადების მიხედვით ცნობილი გახდა, რომ სოლსბერიში ყოფილი რუსი აგენტის სერგეი სკრიპალის მოწამვლასთან დაკავშირებით საქართველო ქვეყნიდან რუს დიპლომატს აძევებს.

ამგვარი ნაბიჯი უკვე მსოფლიოს 28 ქვეყანამ და ნატომ გადადგეს.

ალბათ, ყველას გინახავთ ძაღლების ხროვა, გავლენის სფეროს გასაფართოებლად რომ მიძუნძულებს და მათზე ადევნებული პატარა გაქუცული გოშია, რომელიც ხროვასთან ახლოს მიცუხცუხებს. კუდი მაღლა აქვს აპრეხილი, ხროვას გახედავს, შემდეგ თვალს მოავლებს არემარეს და დაიყეფებს.

ერთი ძველი ანეკდოტიც გამახსენდა: ყვავი არწივებში გაერევა და დადის გაფხორილი. ერთი არწივი მიაქცევს ყურადღებას. — შენ ვინ ხარ? — ეკითხება. — არწივი. ამაყად უპასუხებს ყვავი. — მერე ეგეთი გამსლეული რატომ ხარ? — ავადა ვარ!

მიუხედავად იმისა, რომ სოლსბერიში ყოფილი რუსი აგენტის სერგეი სკრიპალის მოწამვლასთან დაკავშირებით საქართველოს მიერ ქვეყნიდან რუსი დიპლომატის გაძევებას არანაირი რეალური და სერიოზული დატვირთვა არა აქვს, რატომღაც მგონია, რომ ამ „ნაბიჯით“ გარკვეული ჯგუფები „ორი კურდღლის დაჭერას“ აპირებენ.

1. ირიბად დაარტყეს კვირიკაშვილს, რომლის გაკეთებული განცხადება საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობების გამოსწორებისკენ რეალური ქმედების წინა პირობა იყო და მისი იმიჯის შელახვას შეეცადნენ.

2. დასავლეთის იმ ძალებს, რომლებსაც სხვადასხვა მიზნის გამო არ სურთ ჩვენს რეგიონში რეალური სტაბილურობა, აჩვენეს, „ბოკერიას საგარეო კურსი“ კვლავ მუშაობსო.

შედეგები დღეს არა, მაგრამ ძალიან მალე გამოჩნდება. ვნახოთ, რას გააკეთებს პრემიერი. არადა, სულ ცოტა ხნის წინ მან ნამდვილად ღირსეული და ქვეყნისთვის აუცილებელი ნაბიჯი გადადგა.

არ ვიცი რამდენად პრაგმატულია, რასაც ვფიქრობ, მაგრამ ის მოკლე და მშრალი ანალიზი, რაც გავაკეთე, ამის თქმის უფლებას მაძლევს:

1. პრემიერ-მინისტრი რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებას უგზავნის საკმაოდ სერიოზულ გზავნილს, რომელშიც ძალიან ბევრი საჭირო რამ არის ნათქვამი.

2. პანაშვიდზე მიბრძანდება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

3. დაკრძალვაზე მიდის ბიძინა ივანიშვილი.

4. პუტინს არჩევის შემდეგ ხვდება საკმაოდ სერიოზული პრობლემა. ერთ-ერთი მათგანი ინგლისის და ზოგიერთი ქვეყნის მიერ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ბოიკოტის გამოცხადების გახმოვანებაა.

5. აშშ-მა მიიღო გადაწყვეტილება იმ ქვეყნებისთვის ფინანსური დახმარების შეწყვეტის შესახებ, ვინც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა აღიარა.

6. გაეროში მიიღეს გადაწყვეტილება, რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე დევნილთა დაბრუნების შესახებ.

7. მოხდა აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებების ფორმატის გადახედვა.

ეს და ახლად წარმოქმნილი სხვა მრავალი ფაქტორი, უფლებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ ძალიან მალე საკმაოდ დიდი და სასიკეთო ძვრები განხორციელდება ჩვენი ქვეყნის საგარეო ურთიერთობების გაძლიერებისა და ოკუპაციის მიერ შექმნილი პრობლემების გამოსწორების მხრივ.

სამწუხაროდ, ეს ბოლო ეპატაჟი, ჩემს ოპტიმიზმზე გადასხმული ცივი წყალია. ეპატაჟი იმიტომ, რომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა არ გვაქვს, გაწყვეტილი გვაქვს ურთიერთობა და შვეიცარიის საელჩოში რუსეთის სექტორის რიგითი თანამშრომელი თურმე უნდა გავუშვათ საქართველოდან მარტო იმის გამო, რომ არ ვიცი, ვინ ისიამოვნოს: ბოკერიამ ისიამოვნოს, ბარამიძემ ისიამოვნოს თუ ბაქრაძემ ისიამოვნოს, რომელიც გვეუბნებოდა, დანა-ჩანგლით დაიცავით თქვენი ქვეყანაო. აი, ეს არის ამ „დიპლომატიური აქციის“ ტრაგიკომედია.

კემეროვოში საშინელი ტრაგედია მოხდა. ხანძრის შედეგად დაიღუპა 41 ბავშვი.

**ამაზრზენი იყო სოციალური ქსელის ზოგიერთი მომხმარებლის რეაქცია. ამის შესახებ ჩვენი გაზეთი წერდა, მაგრამ მაინც მინდა, რომ რამდენიმე პოსტი ყოველგვარი კომენტარისა და ჩასწორების გარეშე გამოვაქვეყნო:**

**„ამ დედააფეთქებულებს „ჯარისკაცის მამა“ ნანახი არა აქვთ?**

**ესროლეთ ბავშვებს, თქვენ ხომ მეტი არ შეგიძლიათ!**

**რა გასწავლეს ამ ნაბიჭვარმა მიშამ და ბოკერიამ! რა გადაგისხეს ძარღვებში! სად დაიბადეთ?**

**თქვენნაირი ნაძირლები აგზავნიდნენ გაზის კამერებში ბავშვებს და მერე ნოქტიურნებით ტკბებოდნენ, მაგრამ მაინც თქვენზე მაღალ საფეხურზე იდგნენ (თუ შედარება შეიძლება) თუნდაც იმიტომ, რომ თქვენი ბელადები, იმათ ბელადებთან შედარებით ჩვეულებრივი მათხოვრები არიან!**

**ისინი მარიკა როკს უყურებდნენ და ვაგნერს უსმენდნენ, თქვენ კიდევ დეფი და მისი მსგავსი შარლატანები გყავთ ღმერთებად.**

**სწორედ ამიტომ იქნებით მუდამ ნეხვში. სულიერ ნეხვში. ამას ვერ გაიგებთ, თუნდაც იმიტომ, რომ ნეხვში ხართ!“**

იყო მოწოდებები, რომ ე.წ. „ფრენდ ლისტიდან“ (მეგობრების სიიდან) წაეშალათ მსგავსი არამზადები, მაგრამ გავრცელდა სხვა სტატუსიც:

**„ნაძირლები არ წაშალოთ. იკითხონ და გასკდნენ ბოლმისგან. შსს-მ დაადგინოს ეს არსებები და სადიზმისთვის, მანიაკური მიდრეკილებებისთვის, არაადამიანური მოწოდებისთვის მოახდინოს მათი საზოგადოებისგან იზოლირება. ქალაქში მანიაკები და მკვლელები არიან, რომლებიც აშკარად გამოხატავენ თავიანთ სურვილებს!“**

არ შემიძლია, არ მოვიყვანო ჩემი კოლეგის ბონდო მძინარაშვილის სტატუსი, რომელიც მართლა იმედისმომცემი იყო და საკმაოდ ბევრი გამოხმაურება ჰქონდა:

**„ვინც ძალიან გაგაღიზიანათ ორიოდ ტვინგაყინულის კრიახმა კემეროვოს ტრაგედიაზე!**

**აი, სინამდვილეში ეს არის საქართველო!**

**ხანძრის შედეგად განადგურებული ოჯახის ფოტოზე გამოხატულ 948 რეაქციას, 277 კომენტარს და 648 გაზიარებას დააკვირდით! სულ რაღაც 40 საათში!**

**კარგი ხალხი ვართ ჩვენ, ძალიან კარგი!**

**და არ ღირს რამდენიმე ტვინშემღვრეულის გამო ლაწვების ხოკვა — ასეთები ყოველთვის, ყველა ეპოქაში იყვნენ და მომავალშიც იქნებიან!**

**და არა მარტო საქართველოში!**

**ჩვენ შეგვიძლია თანაგრძნობა და არ გვიხარია სხვათა უბედურება! ასეთები ვართ ქართველები!“**

გასულ კვირაში ერთ-ერთ „საღადაო“ თემად ე.წ. „შევიწროებული ქალები“ იქცნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ძალადობა ქალებზე, მათი დევნა და სხვადასხვა სახით შევიწროება საკმაოდ დიდი პრობლემაა და კანონით ისჯება, ამ ე.წ. არასამთავრობოებმა იმდენად გააკომიკურეს, რომ საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერის ნაცვლად, დაცინვა მიიღეს:

**„დიალოგი ციხეში ახლადშესახლებულ პატიმართან: რას გედავებიან, ძმაო? ფუჩუ ჩამიდეს, ბრატ!“**

**„შევიწროების“ საკითხი აშკარად დასახვეწია:**

**წინასწარი განზრახვით შევიწროებული იქნება უპირატეს პოზიციაზე თუ ვითარების გამო შევიწროებული?**

**როგორ ჩატარდება ექსპერტიზა, საგამოძიებო ექსპერიმენტით თუ მხოლოდ ზეპირი მოსმენის საფუძველზე?**

**როგორ დადგინდება ეჭვმიტანილის განზრახვის საბოლოო მიზანი?**

**დაზარალებულს ჩაუტარდება თუ არა სამედიცინო ექსპერტიზა შევიწროების ხარისხის დასადგენად?**

**იქნებ საერთოდ ვერ ავიწროებს და ე.წ. „ჰაეროვანი“ განზრახვა მხოლოდ ჯარიმით განისაზღვროს.**

**მიღებული კანონპროექტი ისევ ვენეციის კომისიამ უნდა მოიწონოს, თუ სხვა უფრო კომპეტენტური უცხოური ორგანიზაცია გაგვიწევს დახმარებას?**

**და კიდევ სხვა მრავალი საკითხი, რომლებიც მრავალწლიან დაძაბულ და მუხლჩაუხრელ შრომას მოითხოვს“.**

არადა, დარწმუნებული ვარ, რომ არ არსებობს საქმეში ჩახედული და სოციალურად აქტიური ადამიანი, რომელიც ვერ მიხვდება, რომ ე.წ. „შევიწროების“ თემაზე ატეხილი აჟიოტაჟი ზუსტად ისეა მიმართული გარკვეული დონორების მხრიდან საკმაოდ მსუყე გრანტის მოპოვებისკენ, როგორც, მაგალითად, ლგბტ-თემა ან ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია (დარწმუნებული ვარ, რომ ამ უკანასკნელში ე.წ. „საავთიაქო“ ნარკოტიკების გამსაღებლებიც არიან ჩართული).

გრანტის მომპოვებლები აწარმოებენ დაჟინებულ, შეიძლება ითქვას, ფაქტობრივად, განგსტერული მეთოდებით ბრძოლას, რომელშიც ზუსტად ისე გამოიყენება საინფორმაციო იარაღი, როგორც 20-იანი წლების ჩიკაგოში ავტომატი.

აუცილებელია, რომ სახელმწიფო დროულად ჩაერიოს ამ ბაკქანალიაში, რომლის საბოლოო მიზანი არა ძალადობის მსხვერპლთა რეალური დახმარება, არამედ მერკანტილური მიზნები და არაჯანსაღი აზროვნებით შეპყრობილი სხვადასხვა ხალხის ვნებების დაკმაყოფილებაა.

**სახელმწიფომ საჯარო უნდა გახადოს გრანტების შემოდინების შესახებ ყველა ინფორმაცია, რომელშიც ნაჩვენები იქნება გრანტის მიმღები ორგანიზაცია, პროექტის თემა და თანხის რაოდენობა. გამჭვირვალე უნდა გახდეს გრანტების განკვარგვა და მიღებული თანხის მიმოქცევა (სად და რაში გაიხარჯა მიღებული გრანტი).**

სამწუხაროდ, ეს თემა იმდენადაა დახურული, რომ სახელმწიფოს გარდა, სრული ინფორმაციის მოპოვება, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

ჩვენ კი 24-საათიან რეჟიმში „ვიცავთ ქვეყანას“:

რუსი ოკუპანტებისგან;

გარყვნილი დასავლეთისა და აშშ-სგან;

მასონებისა და მათთა მსგავსთაგან;

იეღოველებისგან;

არატრადიციული მიდრეკილებების მქონე მოქალაქეებისგან;

სექსუალური შემვიწროებლებისგან;

უსამართლო სასამართლოსგან;

ხელისუფლების გაქსუებული წევრებისგან;

მოძალადე ბანკებისა და მევახშებისგან;

ნეპოტიზმ-კორუფციისგან;

სახელმწიფოებრივი გულგრილობისგან;

უსუსურობისა და უნიათობისაგან.

ვიცავთ და ვიცავთ. ვუკიჟინებთ ერთმანეთს და ვართ „მაუსების“ (კომპიუტერის „თაგვი“) ფრიალში, მაგრამ რაღაც არ გამოგვდის.

ალბათ, ამის ბრალია, რომ მხოლოდ ჩვენ შეიძლება დაგვეცეს ჩინური კოსმოსური დანადგარი, მაგრამ ერთი მხრივ, კარგიცაა — როგორც ყველა ჩინური ნაწარმი, უხარისხო იქნება და ვერ დაგვაზიანებს.

ვიფიქროთ პოზიტივზე და...



**გია გაბრიჭიძე**

დაუვიწყარი სახელი

# ქართული პედიატრიის პატრიარქი



**პირველ აპრილს დაბადებიდან 93 წელი შეუსრულდებოდა საქვეყნოდ აღიარებულ მედიკოს-პედიატრს, მკურნალს, მეცნიერს, თაობათა აღმზრდელს, ჩინებულ საზოგადო მოღვაწეს, ქართული, ტრადიციული, დიდი ოჯახის თავკაცს, თბილისის საპატიო მოქალაქეს ავთანდილ კვეზერელი-კოპაძეს.**

ერთი წელია, ჩვენ შორის აღარ არის, განისვენებს იქ, სადაც მართალნი, სამშობლოსა და ხალხის წინაშე ღირსეულად ვალმოხდილნი ბინადრობენ. დატოვა ჭეშმარიტად ნათელი მამულიშვილის სახელი, რომელსაც შთამომავლობა არასდროს დაივიწყებს.

ექვს ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში სიცოცხლის ბოლო დღეებამდე ემსახურებოდა ბატონი ავთანდილი თავის საყვარელ საქმეს, ურთულეს და უკეთილშობილეს პროფესიას – პედიატრიას, რომელსაც მცირერიცხოვანი ერისთვის, მისი გენოფონდის შენარჩუნებისა და მოზარდი თაობის ფიზიკურად სწორად განვითარებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ბატონი ავთანდილის კალამს ეკუთვნის მრავალი მონოგრაფია, მათ შორის, „ანემიები ბავშვთა ასაკში“, რომელიც ყოველი პედიატრისა და სტუდენტისთვის სამაგიდო წიგნს წარმოადგენს. მეტად ღირებულია მისი დამსახურება ისეთი გლობალური პრობლემების დაძლევისათვის ბრძოლაში, როგორიცაა: ჩვილ და ხუთწლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა, ნეონატალური სიკვდილიანობა, ძუძუთი კვება, ბავშვთა მკურნალობის მართვის პოლიტიკა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პირობებთან ერთიან კონტექსტში და სხვა.

თავისი შრომით, უმაღლესი პროფესიონალიზმით და მტკიცე მოქალაქეობრივ-საზოგადოებრივი პოზიციით, იშვიათი, მომხიბლავი პიროვნული თვისებებით, უმაღლესი პასუხისმგებლობის გრძნობით, პაციენტებსა და მათს ოჯახებზე უანგარო ზრუნვით, უბადლო გულისხმიერებით, კოლეგებთან თუ საზოგადოებასთან ურთიერთობის გამორჩეული უნარით თბილისის და არა მხოლოდ თბილისის მოსახლეობის დიდი სიყვარული და ნდობა დაიმსახურა.

დღესაც ათასობით პაციენტი, გადარჩენილი და განკურნებული ბავშვის ათიათასობით მშობელი გულწრფელ მადლობას და უღრმეს პატივისცემას გამოხატავს მის მიმართ.

ჩვენი ასოციაციის მადლიერება და სიყვარული კი ბატონი ავთანდილის მიმართ მართლაც განუსაზღვრელია, რადგანაც ასოციაციის დაფუძნების პირველი დღიდანვე იგი ჩვენი თანამდგომი და თანამგრძნობი იყო. მიუხედავად დიდი დატვირთულობისა, მუდამ ხალისიანად, ჩვეული პასუხისმგებლობით, ახალგაზრდული ენერგიით ერთვებოდა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ საქველმოქმედო აქციებში მის მიერვე გამოზრდილ ახალგაზრდა მედიკოსებთან ერთად, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასახმარებლად, უფასო სამედიცინო მობილური ბრიგადების მუშაობაში, რაც ძირითადად შორეულ და მაღალმთიან რეგიონებში ხორციელდებოდა, მისი მონაწილეობა განსაკუთრებით საიმედო და ნუგეშის მომგვრელი იყო პაციენტებისა და მათი მშობლებისათვის. მუშაობას ყველაზე ადრე იწყებდა, ყველაზე გვიან ამთავრებდა მომსვლელთა სიმრავლის გამო.

თავს ვიხრით მისი ხსოვნის წინაშე.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა, ძვირფასო ბატონო ავთანდილ, თქვენი დიდი ღვაწლისათვის, ჩვენს ასოციაციასთან თანამშრომლობისა და მეგობრობისათვის!

ქართული მედიცინის ისტორიაში საამაყოდ და სასახელოდ დარჩება თქვენი, როგორც დიდი პედიატრის, მეცნიერის, მკურნალისა და საზოგადო მოღვაწის სახელი.

**საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“.**

# კახეთში – მატარებლითაც, თვითმფრინავითაც...

კახეთში მთავრობა სარკინიგზო და საჰაერო კომუნიკაციების განვითარებას გეგმავს, თუმცა კონკრეტულად როდის დაიწყება მსხვილმასშტაბიანი პროექტები, ჯერჯერობით უცნობია. შედარებით იოლადაა საქმე სარკინიგზო მაგისტრალთან დაკავშირებით, რომელიც ჯერ კიდევ შენარჩუნებულია, ხოლო საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობა კი გაცილებით პრობლემურია.

**„ვფიქრობ, რკინიგზა, რომელიც გვაქვს, არის უდიდესი სიმდიდრე. ახალი რკინიგზის გაყვანას უზარმაზარი თანხები სჭირდება. კახეთის მიმართულებით გვაქვს რკინიგზა, რომელიც ჯერ არ არის ბოლომდე განადგურებული და სახელმწიფომ აუცილებლად უნდა იზრუნოს მის აღდგენაზე. ტურიზმი ხომ რკინიგზის გარეშე წარმოუდგენელია“,** – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა.

კახეთის რკინიგზის აღდგენის პროექტი მზად 2019 წელს იქნება. რეგიონის რწმუნებულ-გუბერნატორის ირაკლი ქადაგიშვილის ინფორმაციით, საუბარია რკინიგზაზე, რომელიც არა მარტო ადგილობრივი მცხოვრებლების ტრანსპორტირებისთვის იქნება განკუთვნილი, არამედ ტურისტებსაც მოემსახურება.

**„რკინიგზის ნაწილი გადის მევენახეობის ზონაში, რაც ამ კუთხით ძალიან საინტერესოა და საერთაშორისო გამოცდილებაც არსებობს – „ტურიზმი რკინიგზასთან მიბმული“. კახეთისთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია სამეურნეო კუთხითაც რკინიგზის განვითარება, მაგალითად, ცხვრის გადაყვანა ზაფხულის საძოვრებიდან ზამთრის საძოვრებზე. აქტიურად ვმუშაობთ აზიის განვითარების ბანკთან. რაც მათთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ვფიქრობ, ერთ-ერთი დიდი კონტრიბუტორი სწორედ აზიის განვითარების ბანკი იქნება. 2019 წლიდან კონკრეტული მიმართულებები უკვე პროექტის სახეს მიიღებს, რომელიც საქართველოს მთავრობასთან ერთად დამტკიცდება“,** – განაცხადა ქადაგიშვილმა.

დაახლოებით 25 წელია, რაც კახეთში სამგზავრო მატარებლის მოძრაობა შეჩერდა. სატვირთო მატარებლის ფუნქცია შენარჩუნდა და ამ დანიშნულებით რეისები კანტიკუნტად სრულდება, უმეტესწილად ჯართი გადააქვთ. კახეთის რკინიგზაზე პირველმა მატარებელმა 1914 წლის 22 სექტემბერს გაიარა, 1915 წლიდან კი ინტენსიურად მოძრაობდა როგორც სატვირთო, ისე სამგზავრო მატარებელი. რკინიგზის გაყვანა ილია ჭავჭავაძის დისშვილის – კოტე აფხაზისა და თავადაზნაურთა თაოსნობით მოხერხდა. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან კახეთში სამგზავრო მატარებელი აღარ ჩასულა.



სხვათა შორის, კახეთის რკინიგზის რეაბილიტაცია ერთ-ერთი იყო იმ დაპირებებს შორის, რომელთა განხორციელებასაც 2012 წლის წინასაარჩევნო პერიოდში ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი კახეთის მოსახლეობას დაჰპირდა. ბოლო წლებში არც ხელისუფლებას და არც „საქართველოს რკინიგზას“ ამ კუთხით არაფერი გაუკეთებია და საკითხი მხოლოდ ახლა „გააცოცხლა“ კვირიკაშვილმა.

გარდა ამისა, კახეთი საჰაერო მიმოსვლის კუთხითაც მასშტაბური პროექტისთვის ემზადება. საუბარია რეგიონში საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობაზე, თუმცა აქ მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი თბილისის აეროპორტის თურქული ოპერატორი „ტავ ურბანია“. საქმე ისაა, რომ „ტავთან“ გაფორმებული კონტრაქტი პირდაპირ გვიკრძალავს საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობას თბილისიდან 150 კმ რადიუსში.

**„კონკრეტულ ტერიტორიაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, მიმდინარეობს შესწავლა, თუ სად შეიძლება იყოს ოპტიმალური აეროპორტის განთავსება. რამდენიმე ფაქტორია გასათვალისწინებელი, გარდა ტურისტული დისლოკაციისა, სანავიგაციო პირობები უნდა იყოს შესატყვისი, გარემო იძლეოდეს საერთაშორისო რეისების განხორციელების საშუალებას. ჩვენ განვიხილავთ ტერიტორიას თელავიდან წნორის ჩათვლით“,** – განუცხადა „საქმის კურსს“ ირაკლი ქადაგიშვილმა.

როგორც კახეთის გუბერნატორი განმარტავს, საუბარია იმაზე, რომ კერძო ინვესტორი იყოს ჩართული ამ პროექტში, რაზეც ინტერესი უკვე არსებობს კერძო სექტორიდან.

**ბექა დანელია**

# თევზისა და ზღვის პროდუქტების ფესტივალი

**პირველ აპრილს ბათუმი თევზისა და ზღვის პროდუქტების ფესტივალს უმასპინძლებს. ფესტივალი საოცრებათა პარკში, ალი და ნინოს სკულპტურასთან, ორგანული აკვაკულტურის განვითარების ასოციაცია „ფორეჯის“ ორგანიზებით გაიმართება.**




ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება ყველა სახეობის თევზი და ზღვის პროდუქტი, რომელიც საქართველოში მოიპოვება. მასში მონაწილეობას მიიღებენ მეთევზეები აჭარიდან, გურიიდან, სამეგრელოდან და იმერეთიდან, ასევე, ბიომეურნეობები. დაგეგმილია ფლეშმობი აჭარის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის მოსწავლეების ჩართულობით, ასევე ფოლკლორული ანსამბლების გამოსვლა. გაიმართება სპორტული თევზჭერის მასტერკლასები – „დაიჭირე-გაუშვი“.

კვების ობიექტები ფესტივალზე ზღვის პროდუქტებს წარმოადგენენ. სტუმრებს საშუალება ექნებათ, კერძები მინიმალურ ფასად შეიძინონ და დააგემოვნონ. თევზისა და ზღვის პროდუქტების ფესტივალი წელს ბათუმში მეორედ გაიმართება. ფესტივალზე დასწრება ყველა მსურველისთვის უფასოა.

ორგანიზატორი: ორგანული აკვაკულტურის განვითარების ასოციაცია „ფორეჯი“

№66-67. შაბათი, 31 მარტი – 1 აპრილი, 2018 წელი.

# სახეები და სიტუაციები

## ოთხი თავი ახალი წიგნიდან

### მწერლის სიტყვის ძალა

ორი დასტური იმისა, თუ რაოდენ დიდი ზეგავლენა აქვს მაყურებელზე ჭეშმარიტი მწერლის სიტყვას, ხელოვნებას: ნოდარ დუმბაძისა და გიგა ლორთქიფანიძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ წარმოდგენის შემდეგ, ბებიას როლის შემსრულებელმა სესილია თაყაიშვილმა (ვიდრე ამ როლს თამაშობდა, სუნამო არ გაუკარებია: მე ქინძისა და ნიახურის სუნი უნდა ამდიოდეს და არა „დუხისაო“) მაყურებლის ბარათი მიიღო: იმის გამო, რომ ჩემი ცოლი და დედა ერთმანეთს ხასიათით ვერ ჰგუობენ, დედაჩემი რაიონში ცხოვრობს. თქვენმა ბებიამ გამახსენა, რა ხანია, დედა არ მინახავს. სპექტაკლიდან პირდაპირ რაიონში მივდივარ, დედას ჩამოვიყვან და თუ ჩემი ცოლი ამას ვერ შეეგუება, სადაც უნდა, იქ წავიდესო.



მეორე ჩინებული მაგალითი ხელოვნების ზემოქმედებისა: მეოცე საუკუნის საუკეთესო ქართულ ფილმად გამოცხადებული „დათა თუთაშხია“ საბჭოეთის ეკრანებზე რომ გავიდა, ფილმის შემქმნელი კოლექტივი, როგორც ამბობენ, ტომრებით ღებულობდა წერილებს. წერდნენ უკიდეგანო საბჭოეთის ჩრდილოელი თუ სამხრეთელი მაყურებლები, მადლობას უხდიდნენ, ქებას ასხამდნენ. ოთარ მეღვინეთუხუცესსა და გიგა ლორთქიფანიძეს ერთი წერილი განსაკუთრებით დაამახსოვრდათ: კემეროვოდან 10-11 წლის გოგონა წერდათ: მამა ადრე გაეყარა დედას, მერე დედა სხვა კაცთან წავიდა, ახლა ბავშვთა სახლში ვიზრდებით, ძია დათა, იქნებ, ჩამოხვიდე, მოძებნო დედაჩვენი და უთხრა, რომ შვილებს ასე არ ექცევიან.

როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, მწერლის აზრი, თეატრის, კინოს ენით ნაამბობი ცხოვრების გადამდები ძალა, ხელოვანთა ოსტატობა იმდენად დიდი იყო, რომ მაყურებელმა თავისი ცხოვრების შეცვლა ახლად გაცნობილი პერსონაჟების დახმარებით მოიწადინა. შეთხზული სახე რეალურად მიიჩნია და მხსნელად იგულვა.



ყველაფერი ეს კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, თუ როგორი უნდა იყოს ხელოვნება. და იმას ადასტურებს, რომ ეს „ძველმოდური“, მივიწყებული, არისტოტელესეული კათარზისი მხოლოდ ნამდვილ ხელოვნებას ძალუძს.

### იოსებ ნონეშვილის გმირობა

თუ იოსებ ნონეშვილის პიროვნულ თვისებებს და მის დროში თავჩენილ, აყელყელავებულ საზოგადოებრივ მანკიერებას ერთმანეთს შევუფარდებთ, რასაკვირველია, პოეტი ამ დროსთან ვერაფრით ვერ გაიგივდება. იმ დროში სასიკეთო ბევრი რამ ხდებოდა, ძალიან ბევრი რამ, მაგრამ ისიც გვახსოვს, რომ ადამიანები იმ დროშიც მუჯლუგუნების ცემით, სხვათა აბუჩად აგდებით, ლიქნით, დაბეზღებით ცდილობდნენ ადგილის დამკვიდრებას. ამ ფონზე სიკეთის ქმნის იოსებ ნონეშვილისეული მისწრაფება მრავალთათვის ანაქრონიზმად გამოიყურებოდა. თავად წარმოიდგინე, მკითხველო, როგორი უნდა იყოს კაცი, რომ ყური მოჰკრას, უცხოეთში მიმავალი ნათესავისადმი დედაბრის მუდარას იქნებ ესა და ეს წამალი ჩამომიტანოო, ნათესავი უარს ეუბნებოდეს და იმ კაცს ჩამოაქვს წამალი, რომელმაც ყური მოჰკრა დედაბრის მუდარას. ასე იყო: თბილისში ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ როგორ მოჰკრა ყური იოსებ ნონეშვილმა მოხუცი ქალის მუდარას, მერე იმ ქალს მოიარებით გამოჰკითხა ყველაფერი და ორიოდ კვირაში წამალიც ჩამოუტანა.

ან კიდევ: რაოდენი კეთილშობილებით უნდა იყოს სავსე ადამიანი, რომ ახალგაზრდა კაცს, დამწყებ მწერალს, რომელსაც არც გავლენიანი ბიძაშვილ-მამიდაშვილობა უმაგრებს ზურგს, არც – პარტიის ცეკა და არც – ფინანსური ძალა, სამუშაოდ მიიყვანოს ისეთ პრესტიჟულ გაზეთში, როგორიც „ლიტერატურული საქართველო“ იყო. ამით იოსებ ნონეშვილმა სუნთქვა გაუადვილა ჩემს ოჯახს. ეს ის დრო იყო, როცა გაზეთში ვერ მოეწყობოდი, თუ რომელიმე დიდკაცი არ გედგა გვერდით. მამაჩემი კი მუშა კაცი იყო.

მანამდე ამაზე არც მიფიქრია, ამ დიდებულ პიროვნებასთან და პოეტთან მუშაობის წლებში პირველად ვიგრძენი, ჩემთვის მაშინ დაუჯერებელი: ადამიანებს უმეტესწილად, თავისი კოლეგები – ვითომ მეგობრები, ვითომ ამხანაგები აქიაქებენ და ამით უმოკლებენ წუთისოფელს: რა ღონეს არ მიმართავდნენ, რას არ იგონებდნენ იმისათვის, რომ რამენაირად დაემცროთ ბატონი იოსების პოპულარობა საქართველოში, მისი ადგილი იმდროინდელ პოეტურ, საზოგადოებრივ აზროვნებაში. რამდენადაც დიდი სიყვარული ჰქონდა ხალხს იოსებ ნონეშვილისა, რამდენადაც მღეროდა, თუ ზეპირად წარმოთქვამდა ხალხი მის ლექსებს, მწერლობის ზოგი ჩინოვნიკი, მისივე თაობის მოლექსენი, დიდ გამომგონებლურ ნიჭს იჩენდნენ, რომ რამენაირად მიეჩქმალათ იგი. ამას კი ბრძოლა არ შეეძლო, პოეტი იყო. მას მხოლოდ სიკეთის კეთება შეეძლო. წლების მერე აღმოხდა:



**ეცადნენ და ვერ გამხადეს ბოროტი,**
**ეცადნენ და ვერ გამხადეს ფლიდი,**
**წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე**
**თურმე, ესეც გმირობაა დიდი.**

ბატონმა იოსებმა ჩაიდინა ეს გმირობა – წუთისოფელს ბოლომდე კაცად შერჩა. თუმცაღა, არაერთხელ მინახავს, რაოდენ გულს სტკენდა ფლიდობა – თვალებში სევდა ჩაუდგებოდა, ტუჩები დაებრიცებოდა, ჩაილაპარაკებდა: „როგორ სცოდავენ, როგორ სცოდავენ!“. ისინი – ცოდვილნი, კი ამ დროს იცინოდნენ, ხითხითებდნენ: ჩვენ თანამედროვედ ვაზროვნებთ, ჩვენ დღევანდელი აზროვნების პოეტები ვართო.

იმ წლებში „ლიტერატურული საქართველო“ ნაცვლად საღამოს 20 საათისა, ლამის გამთენიის ხანს მიჰქონდათ დასაბეჭდად – მთავარი რედაქტორი, ბატონი იოსები გვერდების წაკითხვას აგვიანებდა ხოლმე. მერე, როცა სტამბაში მოვიდოდა, ვიდრე წაკითხული გვერდები მანქანაზე სწორდებოდა, გულდაგულ გვებაასებოდა. შესანიშნავად იცნობდა თანამედროვე პოეზიას – რუსეთის, დასავლეთის ჭეშმარიტი პოეტური მონაპოვარი ხელის გულზე ედო, მაგრამ ამით სხვებივით თავს არ წაგჭამდა, რადგან თავისი სათქმელი ჰქონდა, თავისი სატკივარი და სიხარული. პოეტი იყო და ლიტერატურის თეორიაზე საუბარს თავს არიდებდა. ადამიანთა მზაკვრობას ჩინებული ლექსებითა და სიკეთის ქმნით უპასუხებდა. სიკეთის ქმნის იმოდენა ნიჭი ჰქონდა, მის კართან, მისაღებში მუდამ დიდი რიგი იდგა. ისეთი ხალხმრავლობა იყო, თანამშრომლებსაც კი გვიჭირდა მასთან შეხვედრა. ვინ არ მოდიოდა, საიდან არ მოდიოდნენ დახმარების სათხოვნელად – ამერიდან თუ იმერიდან. ის კი ყველას ეხმარებოდა. ობლობაში გაზრდილს, შემდეგ ცხოვრების იერარქიის მაღალ საფეხურზე ასულს, საქართველოს საყვარელ პოეტს, თითქოს მხოლოდ ერთი ფიქრი ჰქონდა, ერთი განზრახვა – ეშველა გასაჭირში ჩავარდნილი კაცისათვის. ალბათ, თავისი სიჭაბუკის მწარე დღეები აკეთებინებდა სიკეთეს.

ბატონი იოსები თავისი ცხოვრების წესით ერთ სიბრძნეს ჩაგვაგონებდა: ბოროტებას არ უპასუხო, ბოროტებას თავი არ გაუყადრო. ხომ წერდა დიდი მეფსალმუნე პოეტი, როცა ჩემ წინ ბოროტი კაცი ზის, პირზე ალიკაპს ავიკრავო. დიახ, თუ ბოროტი კაცი შენს ახლო-მახლო ტრიალებს, უნდა განერიდო. ვაი რომ, ადამიანები ყოველთვის არ მივდევთ ამ სიბრძნეს ან დროულად ვერ ამოვიცნობთ ბოროტს, ან ნებისყოფა არ გვყოფნის და ზოგადად გვსურს, ბოროტი დღესვე ვიხილოთ დამარცხებული. იგი ყველას სულში იხედებოდა, ყველას ფასი იცოდა, მაგრამ... ისინი, მისივე კოლეგები, თანამეინახენი ბატონ იოსებს ფერმკრთალ შეთქმულებებს უწყობდნენ. მერე რა შეიცვალა? წამიერი იყო ყველაფერი. დრომ წაიღო, ისინი – მოქილიკენი დღეს აღარავის ახსოვს. მათი სქელტანიანი წიგნები ბიბლიოთეკების თაროებიდან კარგა ხანია, არავის ჩამოუღია. ბატონი იოსების ლექსებს კი მღერიან, ლაპარაკობენ, სიკეთის ქმნის რა ნიჭი ჰქონდაო.

ვაი რომ, დღევანდელთ გვავიწყდება ის, რაც გუშინ იყო – დღესაც იგივე გრძელდება. არიან სხვათა ნიჭის, შრომისმოყვარეობის, სიკეთის გამტრიზავებელნი, მოქილიკენი და არიან... თუმცა, ისეთნი, როგორიც ბატონი იოსები იყო, ცოტანი, თითებზე ჩამოსათვლელნი.

### ერთობ ღარიბი მდიდარი კაცი

ტაქსში ორნი სხედან – რამდენიმე მილიონის პატრონი და ადამიანი, რომელსაც არა მხოლოდ მილიონი არ ჰქონია და არც ექნება, ათასებიც კი.

ტაქსი დანიშნულების ადგილს მიადგა. მგზავრები გადმოდიან.

ერთ-ერთი მძღოლს ეკითხება:

– რამდენი მოგართვათ?

– ოცდაათი – ამბობს ტაქსის მძღოლი.

– რა ამბავია, რა მოხდა! – აღშფოთდა მილიონერი.

– კარგი ერთი, ალბათ, ასეა! – ამბობს ის, რომელსაც მილიონი არასოდეს ჰქონია.

– სულ გათავხედდნენ, მაგათ ხომ არ ჰგონიათ, ფულს ხე ისხამს. ასე როგორ შეიძლება!

– დიდი გზა გამოვიარეთ, – ამბობს თანამგზავრი და ტაქსის მძღოლს ფულს აწვდის.

მიდიან. მილიონერი არ ცხრება.

– არა, არა ჰყავს პატრონი ქვეყანას. ასე როგორ შეიძლება!

ის, რომელსაც მილიონი არასოდეს ჰქონია, კმაყოფილია, რომ ტაქსის ფული თავად გადაიხადა და არა იმ მილიონერმა.

ალბათ, ამ მიზეზის გამო არც არასოდეს ექნება მილიონი.

### თიხა ვინ აამეტყველა?

პოლიკარპე კაკაბაძის მშობლიურ სოფელში ყოფნისას, ვგონებ, ჩავხვდი „ყვარყვარეს“ სიდიადის არსს. პოლიკარპე კაკაბაძე თავისი კუთხის, სოფლის ხალხს აყურადებდა, მასში ჰპოვა ის ხალხური სიბრძნე, რომელმაც ვირეშმაკა ყვარყვარე დაახატვინა. დიდი ნიჭის პატრონი გახლდათ პოლიკარპე კაკაბაძე, მასში სიბრძნე სძლევდა ემოციას, ანალიზი – წამიერ განცდას, მეხსიერებაში აღბეჭდილი, სულში განფენილი სურათები, ხასიათები, სახეები ისეთი სიბრძნით აამეტყველა, რომ ქართულ დრამატურგიაში სრულიად ახალი რეალობა შექმნა.



უშანგი ჩხეიძის სოფელში ვარ, იმ ადამიანებში ვტრიალებ, რომელთა შორის უშანგი იშვა. ვუსმენ სოფელ ფუთის მცხოვრებთა საუბარს, მეტყველების მანერას, სიტყვა-პასუხის რიტმიკას და ერთობ ნაცნობი ინტონაციები ჩამესმის ყურში – უშანგის ყვარყვარეს სიდიადის სათავეც ის არის, რაც პოლიკარპე კაკაბაძესი – უშანგიმ მშობლიური, ხალხური ინტონაციები, სახე-ნიღბები გააცოცხლა სცენაზე. დავაკვირდეთ მისი და მისივე სოფლელების მეტყველებას, ჟესტიკულაციას, პლასტიკას. უშანგის ყვარყვარე არ მინახავს, მაგრამ ფოტოებით, ხმით, ჩანაწერების ინტონაციით მისსავე მოძრაობასაც ვხედავ, იმასაც კი, თუ როგორ იმზირება.

და ყველაფერი ეს ერთობ მშობლიურია, მიწიდან ამოზრდილი.

ლიტერატურიდან ვიცით, ყვარყვარე ალ. ჟორჟოლიანს უნდა ეთამაშა, ავად გახდა, პრემიერა კი დანიშნული იყო, მარჯანიშვილი აღარ დაელოდა ჟორჟოლიანის გამოჯამრთელებას და თითქმის მზა სპექტაკლში უშანგი ჩხეიძე „შეაგდო“. ხუთ დღეში როლის მომზადება? და თანაც გენიალურად? არა, ცხადია, წარმოუდგენელია, მაგრამ თუ გარემომცველი სამყარო ასე ცოცხლად აღბეჭდილა შენს მეხსიერებაში, თუ ნიჭით ისე ხარ სავსე, როგორც უშანგი, თუ როლი ისეა დაწერილი, როგორც პოლიკარპე წერდა ყვარყვარეს და რეპეტიციას კოტე მარჯანიშვილი ატარებს, შეუძლებელიც კი შეიძლება: ესე იგი ყველაფერი იყო, ვიღაცას მოზელილი თიხისათვის სული უნდა შთაებერა. თიხა კოტე მარჯანიშვილმა აამღერა.



**გურამ ბათიაშვილი**

**ცოცხალ წიგნს, ცოცხალ ენციკლოპედიას, როსტომ ჩხეიძეს მთელი საქართველო მოვლილი აქვს, ნაბიჯ-ნაბიჯ, რომ იტყვიან, ზუსტად ასე. უკვე წლებია, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება შეხვედრა-საღამოებს სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში მართავს. იმ საღამოებზე არაერთგზის მეც ვახლდი როსტომს და მისი წყალობით ზოგი ისეთი მხარე ვნახე ჩვენი ქვეყნისა, ადრე რომ არ მენახა და არ ვიცნობდი. აღმოჩნდა, რომ სამეგრელოს ორი რაიონი — ჩხოროწყუ და წალენჯიხა — არასდროს შესულიყო მის სამოგზაურო მარშრუტში.**

**აი, სად მომეცა მადლიერების გამოხატვის საშუალება, სამაგიერო სიკეთის გადახდის შანსი — ჩხოროწყუ ხომ ჩემი მშობლიური რაიონია. სოხუმში დაბადებულ-გაზრდილს, ზაფხული უმეტესად ჩხოროწყუში, ბიძაშვილ-მამიდაშვილებთან მაქვს გატარებული. ჰოდა, მეც გამოვიყენე ჩემი იქაური ნაცნობობის ქსელი და... მწერალთან შეხვედრის მოლოდინით აღფრთოვანებულმა ადგილობრივებმა მაშინვე დაგეგმეს შეხვედრა. გადაწყდა, ბატონი როსტომი ისაუბრებდა იაკობ გოგებაშვილზე, რაც ამავე დროს მისი პიესის — „იის სურნელი თოვლში“ — წარდგინებაც იქნებოდა. შევიამხანაგეთ ნანა კუცია, ამჯერადაც მივენდეთ თემურ მურაჩაშვილს და მეროჭიკე ბერებივით (ოღონდ მანქანით) დავადექით გზას.**




# იადან ცისარტყელამდე

## ჩხოროწყუ – ოცინდალე – წალენჯიხა



რესურსცენტრის დარბაზში შეკრებილი საზოგადოება ამ რამდენიმე თვის წინათ გამორჩეული, უჩვეულო ღონისძიების შემსწრე და მონაწილე აღმოჩნდა. არა, მწერლის ჩასვლა არ უკვირთ რაიონში, თუმცა არც განებივრებული არიან ამ მხრივ, მაგრამ... თუმცა თანმიმდევრობით მივყვეთ. ადგილზე მისულთ, სად იყო და სად არა, დაბარებულებივით გამოგვეცხადნენ ზუგდიდიდან საგანგებოდ ჩვენთან ჩამოსული **ნესტან ფიფია** (ზუგდიდის უნივერსიტეტის პროფესორი) და თბილისიდან ასევე ამ შეხვედრაზე დასასწრებად ჩამოსული **ბიძინა ლემონჯავა** (სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი).

დარბაზში აუდიტორია არ იყო მაინცდამაინც მრავალრიცხოვანი, მაგრამ გახლდათ მსურველი და მოწადინე მწერალთან შეხვედრისა და მოსასმენად მომზადებული. საღამო რესურსცენტრის თანამშრომელმა, ბატონმა **მაიზერ სიჭინავამ** გახსნა, შემდეგ მე, ნანა კუციამ და ნესტან ფიფიამ უფრო ახლოს გავაცანით სტუმარი მასპინძლებს. ვისაუბრეთ მის ღვაწლზე — ბიოგრაფიულ რომანებსა და სხვა წიგნებზე, თარგმანებზე, ჟურნალ „ჩვენს მწერლობაზე“, შეხვედრებზე, სატელევიზიო გამოსვლებზე; შრომისმოყვარეობასა და უნარზე, წიგნიერებაზე, განათლებაზე, ქვეყნის სიყვარულსა და სხვა ღირსებებზე — რაც შევძელით და რაც გაგვახსენდა.

ბატონმა როსტომმა დაიწყო თუ არა ლექცია იაკობ გოგებაშვილზე, მასა და მსმენელს შორის მაშინვე დამყარდა მჭიდრო ურთიერთობა, რაც საბოლოოდ გულითადობაში გადაიზარდა. ლექციის ბოლოს ავტორმა საკუთარი პიესიდან ერთი მონაკვეთი წაიკითხა.

სხვაგანაც შემიმჩნევია (კერძოდ, ქუთაისშიც), რომ აუდიტორია ამ ეპიზოდს (როგორ აღმოაჩინა იაკობ გოგებაშვილმა „დედაენის“ დასაწყისი — „აი ია“) უცრემლოდ ვერ უსმენს. ასე მოხდა ჩხოროწყუშიც. სხვა არა იყოს რა, ხანდაზმული მამაკაცის მიერ ტილოს ქუდით მოწმენდილ ცრემლად ღირდა მთელი ეს ვოიაჟი.

ერთგვარი მოულოდნელობა აღმოჩნდა ჩვენთვის სოფელ მუხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის **ირმა თოდუას** გამოსვლა. მას წიგნი წაკითხული ჰქონია და მშვენიერი, კარგად გააზრებული განხილვა შემოგვთავაზა. თავიანთი აზრი გამოთქვეს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა: **ლელა ესართიამ,** უკრაინული წარმოშობის ქართველმა **იზო შამრაიმ, დიანა წურწუმიამ,** ჟურნალისტმა **ნუგზარ ჟვანიამ,** პოეტმა **კოტე ნაჭყებიამ,** ჭოღის საჯარო სკოლის მოსწავლემ **ოთარ შენგელიამ.** საუბარში ჩაერთო ბატონი **ბიძინა ლემონჯავაც**.

...ვერა და ვერ მოვიჯერეთ გული საზოგადოებისთვის როსტომ ჩხეიძის ღვაწლის გაცნობით. საქმე ისაა, რომ აქ საპატრიარქოს ტელევიზია არ აჩვენებს, ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“ არ ვრცელდება, ბატონი როსტომის წიგნები კანტიკუნტადღა აღწევს... ასე რომ, დიდი სიამოვნებით, ლექციის მერე უფრო დაგემოვნებითა და დაწვრილებით ვცდილობთ, გავაცნოთ მსმენელს, თუ რა გამორჩეულ მწერალთან, მეცნიერთან და ადამიანთან უწევთ შეხვედრა. სხვათა შორის, ამ გამორჩეულობას იმ ერთიორსაათიანი იმპროვიზებული საუბრითაც გრძნობენ და ცოტა ხანში სხვა რამითაც რწმუნდებიან. ეს სხვა რამე რაღაა? მოგეხსენებათ, როსტომ ჩხეიძე უსაჩუქროდ არსად მიდის. ძღვნად ყველგან ძვირფასი განძი — წიგნები ჩააქვს — საკუთარიც, სხვებისაც (ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მიერ დაბეჭდილი გამოცემები). ტრადიცია არც ამჯერად დაურღვევია. მანქანის საბარგული სავსეა წიგნებით.

აი, რაც იმ კარის გაღებას მოჰყვა, ნოველის თემაა ან ფილმის ეპიზოდი...

ყველა ცდილობდა წიგნის აღებას, ჯერ მორცხვად, მორიდებით, თითოოროლა წიგნით კმაყოფილდებოდნენ, ადგილს სხვებს უთმობდნენ, მერე სურვილმა აჯობა ზრდილობას და უფრო გაბედულად კვლავ ჩადგნენ რიგში, უკან მდგომნი ფეხის ცერებზე იწეოდნენ, თავიანთ ჯერს ელოდნენ, აქა-იქ „უცხო“ ხალხიც (ისინი, ვინც შეხვედრას არ დასწრებიან) შემოემატა მანქანასთან შეჯგუფებულთ, ბოლოს სულ დაივიწყეს რიდიც და ხათრიც და ოცი, ოცდაორი, ოცდახუთი წიგნით დაჯილდოებულნი ამაყად და ბედნიერად გრძნობდნენ თავს.

* * *

დაღლილებს, მოშიებულებს და მაინც საოცრად კმაყოფილებსა და ბედნიერებს, ერთი სული გვქონდა, როდის მოვისვენებდით, მაგრამ მასპინძლებმა იქვე, რაიონის ცენტრში არსებული მუზეუმის დათვალიერება შემოგვთავაზეს და ბატონი როსტომი, რა თქმა უნდა, მაშინვე დათანხმდა. გულითადი მასპინძლობა და წარსულში მეგზურობა გაგვიწიეს მუზეუმის დირექტორმა **ნაირა ციმინტიამ,** მეცნიერ-თანამშრომლებმა **ზაურ ჯალაღონიამ და იგორ ფიჩხაიამ.** მათი სიყვარულიანი დამოკიდებულება ექსპონატებთან, სიამაყე შორეულ წინაპართა ცხოვრება-საქმიანობით, მოვლილი, სათუთად შენახული და რამდენიმე დარბაზში განთავსებული უძველესი თუ თანამედროვე ნივთები, მუზეუმის სამეცნიერო ჟურნალი და კიდევ მრავალი დეტალი თვალნათლივ დაგვანახვებს, როგორი პროფესიონალები მუშაობენ აქ. ასეთ დროს კაცი ხელახლა აღმოაჩენ ხოლმე სამშობლოს, მარტო პრეისტორიული ხანისა ან ისტორიულს კი არა, აგერ, ჩვენს თვალწინ მყოფსა და აქამდე შეუმჩნეველს.

თქმა არ უნდა, რომ დიდი ინტერესითა და ყურადღებით დავათვალიერეთ ყველა დარბაზი და მუზეუმის წიგნში სტუმართა ჩანაწერებს ესეც მიემატა: „ისე მოხდა, რომ პირველად ვარ ჩხოროწყუში, შთაბეჭდილებანი კი იმგვარია, რომ ვატყობ, კიდევ არაერთხელ მომიწევს აქ სტუმრობა. მუზეუმი საკმაოდ ვრცელ შთაბეჭდილებას მიქმნის ამ მხარის წარსულზე ...რუდუნებით შეგროვებული ექსპონატები კიდევ რომ გამდიდრდება და შეივსება. როსტომ ჩხეიძე“. ძლივს ამოვიკითხეთო, — მითხრეს, ორი სიტყვა ვერც გავარჩიეთო. მარტო ხელნაწერზე დატყობია ბატონ როსტომს დაღლა, სხვაფრივ რომ ვერაფერს შეატყობდით.

ათიოდე წუთის შემდეგ კი ტრადიციულ მეგრულ სუფრას ვუსხედით და მასპინძელთა — ირმას და გელას — ასევე ტრადიციული ყურადღებითა და პატივისცემით ვსარგებლობდით.

* * *

ზაფხულის ცხელ საღამოებში მდინარე ხობისწყლის ნაპირას ყოველთვის გრილა. აქ არც არაგვია და არც არაგვისხელა წყალი, მაგრამ იქითა ნაპირიდან გადმომზირალი ეს ამწვანებული მთები მაინც ნიკოლოზ ბარათაშვილს გვაგონებს, „ბედი ქართლისას“ იმ ცნობილ პასაჟს, და ლამის ჩვენც ქართველურად შევძახოთ, მითუმეტეს, რომ არსად გვეჩქარება... მდინარემდე მისასვლელი ბილიკი ჩემთვის ბავშვობიდან ნაცნობი და საყვარელი გზასავალია. აი, ვინც პირველად ნახა, იმათთვის კი უჩვეულო აღმოჩნდა იქაურობის ხიბლი. ასე მგონია, სადაცაა სამოთხიდან ახალგამოძევებული ადამი შემოგვხვდება, ჯერაც რომ არ დაუტოვებია ძველი საცხოვრებელიო, — ხუმრობდა ბატონი როსტომი.

* * *

განთიადზე „დილის ცვრით პირდაბანილი“ ქვეყანა გადაიშალა ჩვენ თვალწინ. გეზი ახლა ოცინდალეს მთისკენ ავიღეთ, სადაც უძველესი მონასტერია. მეგზურობას **ბაჩანა ჟვანია, გელა და ვაჟიკო ვახანიები** გვიწევენ. მათგა

ნ ვიგებთ, რომ მთის სახელი სიტყვა „სინჯიდან“ მოდის თურმე. წინათ აქ „ოსინჯალე“ ყოფილაო, — ასეთია ხალხური ეტიმოლოგია. გზას ვამბობ, თორემ რა გზააო, — რაღაც ამგვარ ქვაღორღიან, დაკიდებულ აღმართს გულისხმობდა, ალბათ, ვაჟა-ფშაველა. მეტაფორული კი არა, პირდაპირი მნიშვნელობით ძნელად სავალი გზა ავათავეთ და ხან ისევ ვაჟა მოგვადგა ენაზე: „მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდექ, თვალწინ მეფინა ქვეყანა“, ხან აკაკიმ შეგვახსენა თავი: „მთის მწვერვალზე, ცის მახლობლად მერცხლის ბუდედ რაღაც მოჩანს“, ხანაც ილია დაგვიდგა თვალწინ, ის გაგვახსენდა, აჩრდილისთვის რომ „სრულ საქართველო მოჩანდა შორსა“...

წარმართული სალოცავის ნაფუძარზე აუშენებიათ ქრისტიანულ ხანაში მონასტერი. ჟამთა სიავეს ასე თუ ისე გადარჩენილ და სხვადასხვა დროს რამდენჯერმე აღდგენილ ტაძარში რამდენიმე წლის წინათ **ბერ ნიკოდიმოსს** განუახლებია წირვა-ლოცვა. ჩვენ მხოლოდ მორჩილი **სიმონი (ესართია)** დაგვხვდა (მამა ნიკოდიმოსი სოფელში ჩასულიყო რაღაც საქმეზე). შთაბეჭდილება დიდი კი არა, გამაოგნებელია. ასეთ ადგილას სხვა რა უნდა ითხოვო უხილავად ყველგანმყოფისგან, თუ არა „ცოდვათა შესუბუქება, მუნ თანა წასატანისა“.

მამა სიმონმა ტაძრიდან ოდნავ მოშორებით მღვიმეც გვანახა — მოუწყობელ-აღუდგენელი, ბნელი, ვიწროშესასვლელიანი, რაც ტელეფონის შუქზე გავარჩიეთ, თავისი სტალაქტიტებიან-სტალაგმიტებიანი. სავარაუდოდ, ეს გახლდათ ომიანობის დროს „განძთა საფარი“. რა გითხრათ, გრიგოლ ორბელიანისა არ იყოს, თუმცა გზა ცუდია, მაგრამ ღირს, რომ კაცი, მითუმეტეს ქართველი, წავიდეს ამ მშვენიერების სანახავად არაერთხელ.

ოცინდალეს შემდეგ წალენჯიხის ცნობილი ტაძარი და... მერე გზა შინისკენ მარტვილის გავლით. მარტვილის ტაძარს ამჯერად მხოლოდ შორიდან შევავლეთ თვალი და ასე დავემშვიდობეთ დადიანების სამუდამო სამყოფელს.

* * *

როგორც წესი, სულით თანაზიართ მეგობრების ფიზიკურადაც ახლოს ყოფნას გული უგრძნობთ ხოლმე. სხვა ვერაფრით აიხსნება ქუთაისის მისადგომებთან **ლია კუხიანიძის** სატელეფონო ზარი როსტომ ჩხეიძესთან, ეს არის ახლა, როჯერ სკრუტონი წავიკითხე და თქვენთან დალაპარაკება მომინდაო (იგულისხმება პაატა და როსტომ ჩხეიძეების მიერ თარგმნილი უაღრესად საყურადღებო ესეი ინგლისელი მოაზროვნისა „ერების საჭიროება“).

ლიასთან სტუმრობა, მისი დის **მაიას** და დისშვილის, პატარა **ცირას** მასპინძლობა, საუბარი საქართველოზე, სკრუტონზე, ოცინდალეზე, სატელევიზიო გადაცემებზე, ჩხოროწყუზე, სკოლებზე, ჩვენსა და კაცობრიობის წარსულსა და მომავალზე გვირგვინად დაადგა იმ ორ დაუვიწყარ დღეს.

**გზად თბილისისკენ, მცხეთის მისადგომებთან, როგორც აუცილებელი შემთხვევითობა, „მახარობელად დიდ იმედისა“ ცისარტყელა გადაეფინა მთელ ცას.**

**ნინო ვახანია**



# ქართველი თაღლითების ტრიუკები

**„გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამართალდამცავმა ორგანოებმა განგაშის ზარს შემოჰკრეს: ქვეყანა კავკასიიდან ჩამოსულმა ქურდების ბანდებმა წალეკა, რომლებიც საიმიგრაციო კანონმდებლობაში არსებული ხვრელებით სარგებლობენო“,** — წერს გაზეთი „ბილდი“ გერმანიაში ქართველი „გასტროლიორების“ შესახებ.

საინფორმაციო სააგენტო **„ნიუს-პრესი“** გთავაზობთ ფრანც სოლმსლაუბახისა და მაიკ პასმანის ავტორობით გამოქვეყნებული სტატიის ქართულენოვან რეზიუმეს:

**„თებერვლის ბოლოს და მარტის დასაწყისში პოლიცია მიზანმიმართულად აკონტროლებდა გერმანიის აეროპორტებში ჩამოსულ საქართველოს მოქალაქეებს, რათა ქართული მაფიის სტრუქტურებისთვის ზიანი მიეყენებინა“.**

გაზეთის რედაქციამ მოახერხა გასცნობოდა გერმანიის ფედერალური პოლიციისა და სისხლის სამართლის პოლიციის ფედერალური უწყების ერთობლივ კონფიდენციალურ მოხსენებას, რომელშიც ნათქვამია, რომ **„231 ადამიანის შემოწმების შედეგად, მათგან 59 დაუყონებლივ უკან, საქართველოში, გაგზავნეს“. პოლიციის წარმომადგენლის თქმით, ეს სიგნალია მათთვის, ვინც საქართველოში დანაშაულებრივი ბანდების ხელმძღვანელები არიან.**

**ბოლო დროს საქართველოდან ევროპაში წამოსული დამნაშავეები რეგულარულად ჩამოდიან გერმანიაში, რათა აქ წვრილმან ქურდობასთან ერთად, ბინებისა და მაღაზიების ძარცვაც განახორციელონ“,** — იუწყება გაზეთი და მკითხველს მათი საქმიანობის თაღლითურ სქემას აცნობს: „ისინი განცხადებას წერენ ლტოლვილის სტატუსის მისაღებად და როგორც სისხლის სამართლის პოლიციის ფედერალური უწყების თანამშრომლებმა დაადგინეს, განცხადების განხილვისათვის აუცილებელ ვადებს, რომლის დროსაც მათ ნებადართული აქვთ გერმანიაში ყოფნა, თავიანთი შავი საქმეების რეალიზებისათვის იყენებენ.

2014 წელს გერმანიის სისხლის სამართლის პოლიციის ფედერალურმა უწყებამ დაიწყო პროექტი JASON, რომლის ჩარჩოებში სამართალდამცველმა ორგანოებმა ქონების წინააღმდეგ მიმართული ქართული დამნაშავეობრივი ჯგუფების საქმიანობა შეისწავლეს, — წერენ სტატიის ავტორები, — სწორედ მაშინ დადგინდა, რომ გერმანიაში თავშესაფრის მთხოვნელთა 60% სწორედ ქართველი ქურდები იყვნენ.

**მიუხედავად იმისა, რომ 2017 წლის 28 მარტს საქართველოს მოქალაქეებს გერმანიის ტერიტორიაზე უვიზოდ შესვლა შეუძლიათ (...), ისინი მაინც აგრძელებენ საიმიგრაციო კანონმდებლობით ბოროტად სარგებლობას. „თუ 2017 წლის სექტემბერში გერმანიაში თავშესაფარი 238 საქართველოს მოქალაქემ მოითხოვა, იმავე წლის ოქტომბერში ასეთი ადამიანების რაოდენობამ 355-ს მიაღწია, ნოემბერში — 444-მდე მოიმატა, დეკემბერში — 522, ხოლო 2018 წლის იანვარში მათი რაოდენობა უკვე 745 გახდა, ანუ მატებამ 213%-ს გადააჭარბა“,** — ასეთ სტატისტიკურ მონაცემების აცნობენ მკითხველებს ავტორები.

გაზეთი წერს, რომ საქართველოდან გერმანიაში წამოსულ მოქალაქეებს თავშესაფრისა და ლტოლვილის სტატუსის მიღების თითქმის არანაირი შანსი არა აქვთ: მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში წარდგენილი განაცხადებიდან მხოლოდ 1% დაკმაყოფილდა.

# კრიპტოვალუტა – აფხაზეთის ენერგეტიკის მთავარი მტერი?

**აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ენერგოსისტემას მნიშვნელოვან პრობლემას უქმნის კრიპტოვალუტის მაინინგი — გამომუშავება,** განაცხადა აფხაზეთის გაერთიანებული ენერგოკომპანიის „ჩერნომორენერგოს“ გენერალურმა დირექტორმა ასლან ბასარიამ, რომლის თქმითაც, ბზიფსა და სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის ტერიტორიაზე (აგუძერასა და სინოფში) მუშაობს კრიპტოვალუტის მაინინგის სამი ფერმა, აფხაზეთის მიმზიდველობას კი განაპირობებს ელექტროენერგიის დაბალი ფასი: 1 კვტსთ დენი 40 რუსული კაპიკი ღირს, რაც, დაახლოებით, 0,7 ამერიკული ცენტია.



**„საკუთარი სიმძლავრეები აქვთ, შეძენილი ელექტროენერგიის საფასურსაც იხდიან, მაგრამ საჭიროა მათი სიმძლავრეების დაზუსტება. გასაგებია, რომ საბჭოთა პერიოდშიც გამოიმუშავებდნენ გარკვეულ სიმძლავრეს, თუმცა ახლა საჭიროა ახალი ტექნიკური პარამეტრების წარმოდგენა, რასაც ისინი არ აკეთებენ,** — განაცხადა ასლან ბასარიამ. — საჭიროა გარკვევა, რა სიმძლავრის გამოყენებით ხდება კრიპტოვალუტის გამომუშავება, რადგანაც შესაძლოა, საქმე გვქონდეს ელექტროენერგიის უკონტროლო მოხმარებასთან. დიახ, ისინი იხდიან ელექტროენერგიის საფასურს, მაგრამ რა? დიდი დატვირთვა მოდის ჩვენ ქსელზე, ჩვენს მაგისტრალურ ხაზებზე, ჩვენს ქვესადგურებსა და ტრანსფორმატორებზე. ეს დატვირთვა დარტყმას აყენებს ჩვეულებრივ მოქალაქეს, რომელსაც ზამთარში სურს სითბოსა და სინათლის მიღება. დაახლოებით, 300-ჯერ მოგვმართეს, მათ შორის, უცხოურმა კომპანიებმა, თუმცა ძირითადად ჩვენი მოქალაქეები მოდიან ვიღაც უცხოელებთან ერთად და ითხოვენ სიმძლავრის გამოყოფას მაინინგისთვის. ყოველ ჯერზე ჩვენი პასუხი ერთნაირია: **„არა, შეუძლებელია, არ გვაქვს სიმძლავრეები!“**

თუმცა კრიპტოვალუტის მაინინგი არ არის ერთადერთი საქმიანობა, რომელიც პრობლემას უქმნის თვითაღიარებული აფხაზეთის ენერგოსისტემას. პრობლემად რჩება მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობა. როგორც ირკვევა, ფიზიკური პირები მოხმარებული ელექტროენერგის საფასურის მხოლოდ 40,2 %-ს იხდიან (შარშან ეს მაჩვენებელი 44,2 % იყო), იურიდიული პირები კი — 86,4%-ს. აღსანიშნავია ისიც, რომ ფიზიკური პირები შეადგენენ მომხმარებელთა 77%-ს.

**„ოჩამჩირის რაიონში ექვს სოფელს შევუწყვიტეთ დენის მიწოდება, ასევე გუდაუთის რაიონის სოფელ ვარჩას, რომლის მოსახლეობას არასოდეს არ გადაუხდია მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური“,** — განაცხადა ასლან ბასარიამ.

საგულისხმოა, რომ 2016 წელს აფხაზეთისათვის მიწოდებული იქნა ენგური/ვარდნილის კასკადის წლიური გამომუშავების 46 %, 2017-ში კი — 48 %.

მურმან მარგველაშვილი, **ენგურჰესზე მომზადებული ანგარიშის ავტორი, შენიშნავს, რომ 2016 წლის მონაცემებით, აფხაზეთის მოხმარება 1926 მილიონი კვტსთ იყო, რაც, აფხაზეთში მოსახლეობის აღწერის 2011 წლის მონაცემების (240 ათასი მოსახლე) მიხედვით, ერთ სულზე 8000 კვტსთ-ს შეესაბამება. ეს 3.3-ჯერ აღემატება დანარჩენი საქართველოს მაჩვენებელს.**

რუსულ-აფხაზური წყაროების მიხედვით, აფხაზეთში ენერგომოხმარების სუბსიდირებას რუსეთის მხარეც აკეთებს. რუსეთის ენერგეტიკის სამინისტროს შეფასებით, „ინტერ-რაოს“ მიუღებელმა შემოსავალმა აფხაზეთის ენერგომომარაგებაზე 2016-2017 წლებში, დაახლოებით, 750 მლნ რუბლი შეადგინა. ამ ხარჯებს „ინტერ-რაოს“ ნაწილობრივ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო უფარავს.

სპეციალისტების შეფასებით, აფხაზეთის თვითაღიარებული რესპულიკის ენერგოსექტორში არსებული პრობლემების მთავარი მიზეზი ელექტროენერგიის განაწილების ტექნიკური და ორგანიზაციული მოუწესრიგებლობაა.



**ჯიმშერ რეხვიაშვილი**


© Press Association © Vatican Media

## რომის პაპმა ფეხთბანვის რიტუალი ციხეში შეასრულა

**რომის პაპმა ფრანცისკემ წმინდა ხუთშაბათის ფეხთბანვის რიტუალი ციხეში შეასრულა. წესისამებრ, მან 12 პატიმარს ფეხები დაბანა. პატიმრებს შორის იყვნენ ისლამის ორი და ბუდიზმის ერთი მიმდევარი. პაპმა ფრანცისკემ ასევე ისაუბრა სიკვდილით დასჯის პრაქტიკაზე და თქვა, რომ ეს წესი ყველა ქვეყანაში უნდა გაუქმდეს, რადგან ის არც ქრისტიანულ და არც ჰუმანურ პრინციპებს არ შეესაბამება. რიტუალი რომში, რეგინა კოელის ციხეში შესრულდა.**

## საფრანგეთში აზერბაიჯანელი ჟურნალისტი დაჭრეს




**აზერბაიჯანელი ჟურნალისტი რაჰიმ ნამაზოვი, რომელმაც საფრანგეთში თავშესაფარი მიიღო, მძიმედაა დაჭრილი. ინციდენტი ადგილობრივი დროით დილის 9 საათზე მოხდა. ჟურნალისტი ცოლთან ერთად მანქანით მიდიოდა, მათ მეორე ავტომობილი დაეწია და უცნობმა პირმა 8 გასროლა განახორციელა. ნამაზოვი მძიმედაა დაჭრილი, მისი მეუღლე კი გარდაიცვალა.**

## FACEBOOK-მა უსაფრთხოების ზომები გააძლიერა

**კომპანია Facebook-მა შეერთებულ შტატებში დაგეგმილ კონგრესში შუალედური არჩევნების წინ უსაფრთხოების ზომები გააძლიერა. ამის შესახებ კომპანია საკუთარ გვერდზე წერს. წარმოების დირექტორი აცხადებს, რომ კომპანია რეკლამის შემოწმების პროცესს გააუმჯობესებს. საჭირო გახდება პიროვნების, ორგანიზაციისა და ადგილმდებარეობის იდენტიფიცირება. ასევე კომპანია ცრუ ინფორმაციების გავრცელებასაც შეუშლის ხელს.**





# როგორ გარდაისახება რუსეთუმე აგენტად?

**ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი არ არსებობს, ვინაიდან ყოველგვარ მოვლენას უსასრულო ობიექტური ფაქტორი განაპირობებს, ამიტომ ძნელია, ადამიანის გონმა ყველა ფაქტორი აღიქვას და გაიცნობიეროს. მიუხედავად ამისა, შევეცდები, რაც გვაქვს, ძირითადია, რაც ადვილად აღსაქმელია, მკითხველისთვისაც ცნობილი გავხადო. სტატიის სათაურში დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ვფიქრობ, საჭიროა ფსიქოლოგიის გამოყენებაც.**

— საქართველოში ორასზე მეტი პარტიაა. რაკი, პარტიები არსებობს, მათ უნდა ჰქონდეთ ერთმანეთისგან განსხვავებული იდეოლოგია., სხვანაირად წარმოუდგენელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის პარტიები, რომლებიც იდეოლოგიის მხრივ არ განსხვავდებიან, უნდა გაერთიანდნენ. ეს კი არ სურთ. ყველას განსაკუთრებულობის ამბიცია ამოძრავებს, ყველა უფროსობის მანიას შეუპყრია. **სიმართლე რომ ითქვას, საქართველოში არც ერთ პარტიას გამოკვეთილი იდეოლოგია არც გააჩნია, მეტიც, მათ ლიდერებსაც კი წარმოდგენა არა აქვთ, თუ რა იგულისხმება იდეოლოგიაში; წარმოდგენაც კი არა აქვთ იმაზე, თუ საქართველოს დღევანდელობას როგორი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმაცია მიესადაგება**. ამგვარი იდეური დაბნეულობის პირობებში, ყველა ცდილობს, ორიგინალური იყოს. ეს „ორიგინალობაც" ხომ გამოულეველი არ არის, ამიტომ მათი სურვილია, ისეთ რამეს ჩაებღაუჭონ, რაც სხვას არა აქვს. მაგალითად, ზოგი აღმერთებს და აქებს აშკარა ანტიგმირს, რომელმაც საქართველოს დიდი ზიანი მიაყენა. სურს, ამაში სხვებიც დააჯეროს და მოითხოვს, მას ეთერი და გაზეთების ფურცლები დაუთმონ.

ჰოი, საკვირველებავ, ზოგჯერ ამგვარი კატეგორიის ადამიანებს სურვილს უსრულებენ!

ზოგადად, მე-20 საუკუნეშიც კი სახელმწიფოების უმრავლესობა ვანდალიზმში არიან დადანაშაულებული, რასაკვირველია, მათ რიცხვში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია რუსეთს. მან გაფართოების გზაზე შემხვედრი ერები აღგავა პირისაგან მიწისა, ხოლო გადარჩენილების ასიმილაციას შეეცადა.

ყველა აგრესიულმა სახელმწიფომ მოინანია წარსულის ცოდვები და შეუდგა მშვიდობიან ცხოვრებას, სხვა სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას. თუ ადრე კრემლის ხელმძღვანელობა რუსეთის წარსულ ქმედებებს სასტიკად გმობდა, ამჟამინდელი ყველა დანაშაულს რაც ამ სახელმწიფოს მიერ იყო ჩადენილი, რომ იტყვიან, უაპელაციოდ ამართლებს.

საქართველო ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთსო, თვალში ნაცარს გვაყრიან. ნუთუ ამის მთქმელს ერთხელაც არ წაუკითხავს გეორგიევსკის ტრაქტატი, ან ქართველები უმეცარნი ვგონივართ, რომ ვერ ვაანალიზებდეთ უახლესი წარსულის მოვლენებს, როდესაც რუსმა დამპყრობლებმა განიზრახეს ქართველი ხალხის გენოციდი, და ამ მიზნით საქართველოში მასობრივად ასახლებდნენ უცხოტომელებს, 1921 წელს როცა ველური ბოლშევიკების (ასე უწოდებდა ნოე ჟორდანია ბოლშევიკებს) არმიები შემოესივნენ საქართველოს. თვით ბოლშევიკმა ფილიპე მახარაძემაც კი ამ ფაქტს დაპყრობა და ბოროტება უწოდა.

კრემლის ბოლოდროინდელ ხელმძღვანელობას სურდა საბჭოთა კავშირის დაჩქარებული წესით გაერთგვაროვნება ეროვნულობის მიხედვით, რა თქმა უნდა, რუსი ერის ხარჯზე, მისი ბატონობით. ბედი რომ მოკავშირე რესპუბლიკების მცხოვრებნი ფხიზლად იდგნენ და მათი კომუნისტური ხელმძღვანელებიც სათანადო სიმაღლეზე აღმოჩნდნენ და რა წამს იმპერია მძლავრად შეირყა, თავიანთი ხალხის გვერდით დადგნენ. ყველა რესპუბლიკაში პირველ ხანებში, თითქოს არც კი შეცვლილან ხელმძღვანელები. გამონაკლისი გახლდათ საქართველო და ამან რა შედეგიც გამოიღო, ყველასთვის ცნობილია. გამოუცდელმა (რბილად ნათქვამია) პირებმა ქვეყანას დიდი დარტყმა მიაყენეს.

სააკაშვილმა ცხინვალი დაბომბა, ამისთვის პუტინმა შური იძია საქართველოზე. ფაქტობრივად, რუსეთმა იმ დროს საქართველო დაიპყრო. ჩვეულებისამებრ მპყრობელი ერი გარკვეული დროის შემდეგ გადის დაპყრობილი ტერიტორიიდან ისე რომ, ამ ქვეყნის საზღვრებს უცვლელად ტოვებს. მართალია, რუსეთი გავიდა საქართველოდან, მაგრამ წაგვგლიჯა აფხაზეთი და შუაგული საქართველო — სამაჩაბლო.

პრეზიდენტი ბუში მართალი იყო, როცა სააკაშვილს მიიჩნევდა ამ ომში დამნაშავედ, მაგრამ იმასაც აცხადებდა: რუსეთმა საქართველო არაპროპორციულად დასაჯაო.

ბატონი ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე უპირველესად მოსკოვში ჩასვლას აპირებდა, მაგრამ სააკისტებმა განგაში ატეხეს — რუსეთი აგრესიულ პოლიტიკას აგრძელებს და ივანიშვილი პუტინის წინაშე ქედის მოხრას აპირებსო.

სოჭის ზამთრის ოლიმპიადას საქართველომ ბოიკოტი არ გამოუცხადა — იქნებ კრემლი ჩვენთან მიმართებაში კეთილად განეწყოსო. მაგრამ პუტინი და მისი გუნდი ჯიუტად განაგრძობენ საქართველოს წინააღმდეგ აგრესიულ პოლიტიკას: სანამ რუსეთუმეები და მათთან ასოცირებული რუსეთის აგენტები საქართველოს ხელისუფლებაში არ მოვლენ, მანამდე თბილისთან რეალობის შესატყვის მოლაპარაკებას არ გავმართავთო.

ვეკითხები ყველას: რომელი სახელმწიფოს მცხოვრებნი დაუშვებენ იმას, რომ თავიანთ ქვეყანას უცხო სახელმწიფოს აგენტები მართავდნენ? რუსეთუმეები და აგენტები არასამართლიანად მიიჩნევენ ვარშავის ხელშეკრულების გაუქმებას და ნატოს არსებობას, მაგრამ ვერ აცნობიერებენ იმას, რომ ნატო რუსული და სხვა აგრესიული სახელმწიფოების დასათრგუნად არსებობს.

ყოვლად გაუმართლებელი და დასაგმობია რუსეთის აგრესია თავისუფლებისმოყვარე უკრაინელი ხალხის წინააღმდეგ.

რუსეთუმეები თავს იმართლებენ — ჩვენ რუსული ორიენტაციის ადამიანები ვართ, თუ ქვეყანაში დემოკრატია არსებობს, სხვა ორიენტაციის ადამიანებს არ უნდა განსჯიდეთო. მაგრამ რუსეთუმეობა არ ნიშნავს იმას, რომ რუსულ სახელმწიფოს ყველა დანაშაული (დღიდან ამ სახელმწიფოს დაარსებისა) გავამართლოთ და მას კაცობრიობის გადამრჩენი ეწოდოს. ეს უკვე აგენტად გარდასახული რუსეთუმეა. ამგვარ ხალხს სასჯელი ეკუთვნის, ასეა ყველა სახელმწიფოში. და მათ ვერანაირი ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაცია ვერ დაიცავს. იმედი მაქვს, ხელისუფლება ბოლოს და ბოლოს გამოააშკარავებს აგენტებს, ანუ ჯაშუშებს, და ისინი საკადრის სასჯელს მიიღებენ.

ჩემი და ყველა საღად მოაზროვნე ადამიანის სურვილია, რუსეთთან ნორმალური ურთიერთობა დამყარდეს, მაგრამ არა რუსეთუმეებისა და აგენტების მეშვეობით.

დავუშვათ, დავთანხმდით რუსეთუმეებს, ანუ აგენტებად გარდასახულ პირებს და ამ თანხმობამ მართლაც, დადებითი შედეგი გამოიღო, მაგრამ ამგვარი ქმედება მოწინავე კაცობრიობის მიერ ნეგატივად (რბილად ნათქვამია) იქნება აღქმული, გვინდა, მერე ეს? ბოროტების გვერდით დგომა უმჯობესია თუ მოწინავე კაცობრიობასთან თანამშრომლობა? რუსთაველის აფორიზმი მაინც ხომ გვსმენია — სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა...

**ვაჟა ჟღენტი**

## ბუტა რობაქიძის დაკავების კადრები რამდენჯერმე გადაიღეს!!!

**თბილისის საქალაქო სასამართლოში დაკითხვისას ზაზა ბაქრაძემ განაცხადა, რომ ბუტა რობაქიძის დაკავების კადრების გადაღება 3-4-ჯერ მოხდა, რადგან დონაძეს არ მოსწონდა.**

დაკავების კადრებში ერთ-ერთ ბრალდებულს საათი უკეთია, რომელზე ჩატარებული ექსპერტიზითაც, საათზე 02:17 საათია დაფიქსირებული. ფირცხალავა დაინტერესდა, თუ როგორ ახსნიდა ბაქრაძე იმ ფაქტს, რომ იმ დროს ის წესით რესტორანში უნდა ყოფილიყო, თუმცა, ჩვენების დროს ამბობს, რომ შემთხვევის ადგილზე იყო და კადრების რამდენჯერმე გადაღება ხდებოდა.

ბაქრაძის განცხადებით მას სროლის ხმა არ გაუგია და სცენა მისი თანდასწრებით არ გადაუღიათ.

**ცნობისთვის, ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეზე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას შსს-ს ყოფილ მაღალჩინოსნებს ედავებიან.**

## მოსამართლემ ზაზა ბაქრაძე გირაოთი გაათავისუფლა

**საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსი ზაზა ბაქრაძე 5 ათასლარიანი გირაოთი გაათავისუფლა. მოსამართლემ დაცვის მხარის შუამდგომლობა გაიზიარა.**



ზაზა ბაქრაძემ მომხდარიდან 6 წლის შემდეგ დანაშაული აღიარა და განაცხადა, რომ გარდაცვლილ რობაქიძეს იარაღი არ ჰქონდა და ის შემთხვევის ადგილზე სამართალდამცველებმა, კერძოდ კი საპატრულო პოლიციის ყოფილმა უფროსმა ზურაბ მიქაძემ მიიტანა. ბრალდებული ზაზა ბაქრაძე 6 ბრალდებულიდან ერთადერთია, რომელიც ამ წლების განმავლობაში საქართველოში არ იმყოფებოდა და არც სასამართლო სხდომებს არ ესწრებოდა.

**ის ქვეყანაში დაახლოებით ერთი თვის წინ დაბრუნდა. ბაქრაძე სამართალდამცველებმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს.**

## შობადობა შემცირდა

**2017 წელს საქართველოში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობამ 53 293 ბავშვი შეადგინა.**

ქვეყანაში 27 658 ბიჭი და 25 635 გოგო დაიბადა. შესაბამისად, ყოველ 100 ცოცხლად დაბადებულ გოგოზე დაიბადა 107.9 ბიჭი. წინა წელთან შედარებით ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა 5.8 პროცენტით შემცირდა.



„საქსტატის" ინფორმაციით, 2017 წელს ყველაზე მეტი დაბადება აღირიცხა ქ. თბილისში (14 906 ბავშვი), ხოლო ყველაზე მცირე — რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში (341 ბავშვი).

**დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში 2017 წელს 2016 წელთან შედარებით 40.6 პროცენტიდან 38.9 პროცენტამდე შემცირდა რიგით პირველი დაბადებულის წილი. მესამე და მომდევნო რიგითობის დაბადებულთა წილი 21.3 პროცენტიდან 22.6 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო მეორე შვილის წილი თითქმის უცვლელი დარჩა.**

**წინა წელთან შედარებით 2017 წელს დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში 25 წლამდე ასაკის დედების მიერ გაჩენილი ბავშვების წილი 35.6 პროცენტიდან 32.7 პროცენტამდე შემცირდა. 25-39 წლის ასაკობრივი ჯგუფის ქალების წილი 61.6 პროცენტიდან 64.6 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო 40 წლის და უფროსი ასაკის დედების წილი პრაქტიკულად უცვლელი დარჩა.**

**2017 წელს დედის საშუალო ასაკმა პირველი ბავშვის დაბადებისას 25.4 წელი შეადგინა.**

**2017 წელს გარდაცვლილთა რიცხოვნობა 2016 წელთან შედარებით 5.8 პროცენტით შემცირდა და 47 822 ადამიანი შეადგინა.**

**ისევე როგორც დაბადების შემთხვევაში, 2017 წელს გარდაცვალების ყველაზე მეტი შემთხვევა აღირიცხა ქ. თბილისში (11 976 კაცი), ხოლო ყველაზე ნაკლები — რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში (736 კაცი).**

**2017 წელს, 512 ჩვილი (1 წლამდე ასაკის ბავშვი) გარდაიცვალა. ამასთან, ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი (1 წლამდე გარდაცვლილთა რაოდენობა 1 000 ცოცხლად დაბადებულზე) წინა წელთან შედარებით 0.6 პუნქტით გაიზარდა და 9.6 პრომილე შეადგინა.**

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

# შვიდქალა გენტში გაემგზავრა

**გუშინ გამთენიისას საქართველოს 7-ქალა ნაკრები ბელგიაში, გაემგზავრა, სადაც მოსამზადებელ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.**

მთავარი მწვრთნელი ჯაბა მალაღურაძე გუნდს 2018 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის მოძლვრავს, რომელსაც 9-10 ივნისს ხორვატეთი უმასპინძლებს. მანამდე „ბორჯღალოსნები“ სამ რაუნდში ითამაშებენ, რომელთაგან პირველს დღეს და ხვალ გენტი უმასპინძლებს.

„აღნიშნულ ტურნირში რეგულარულად ვცდით ძალებს და ის საკმაოდ მაღალი დონისა. მასში ევროპის ტოპ-12-ის გუნდებიც გამოდიან. წელს იქ პოლონეთის, ჰოლანდიის, გერმანიისა და ბელგიის ნაკრებები იქნებიან წარმოდგენილი, ასევე საკმაოდ ძლიერი კლუბები“ — ამბობს მალაღურაძე, რომელიც ამჯერად ახალი სათამაშო სქემის გამოცდას აპირებს:



„მე და გიორგი მაისურაძემ გადავხედეთ შეტევისა და დაცვის სტრატეგიებს და გარკვეული სიახლეები დავნერგეთ, რომელთაც პირველად გენტში გამოვცდით. არ გვაქვს მოლოდინი, რომ ყველაფერი უმაღლეს დონეზე შესრულდება, თუმცა, იმას ნამდვილად დავინახავთ, რაზე გვაქვს უფრო მეტი სამუშაო“.

ჩვენებურთა თავკაცი კმაყოფილია რაგბიში ჩართულ გოგონათა რაოდენობის ზრდით. თუ ადრე საქართველოს გუნდს 12 კანდიდატის შეკრებაც კი უჭირდა, ახლა გაფართოებულ სიაში 22 წევრია, რომელთაგან 12 შეირჩა. მათგან ერთი დებიუტანტია — მანონი საღარაძეს ნაკრების მაისურით ჯერ არ უთამაშია.

„სასიხარულოა, რომ კანდიდატთა რაოდენობა გაიზარდა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენი ნაკრები საკმაოდ ახალგაზრდულია“.

მეორე და მესამე მოსამზადებელი შეჯიბრებებისთვის საქართველოს 7-ქალა საფრანგეთში გაემგზავრება და 18-20 მაისს ნანსის, ხოლო 23-24 მაისს პარიზის საერთაშორისო ტურნირებში მიიღებს მონაწილეობას.

*7-ქალა გენტის ტურნირზე:*

**სალომე მაკასარაშვილი (თბილისი), ნიკოლ გალუზინსკაია (თბილისი), ნათია გავაშელიშვილი (რუსთავი), ირმა გულიაშვილი (თბილისი), ნინო ტაბატაძე (თბილისი), ქეთი მოდებაძე (კაპიტანი, თბილისი), სალომე საღარაძე (ზუგდიდი), თინათინ პაპუაშვილი (თბილისი), თინათინ სიხარულიძე (თბილისი), მარიამ გოგუაძე (თბილისი), ანი სირაძე (ქუთაისი), მანონი საღარაძე (ზუგდიდი).**

**კობა კობახიძე**

◎ ლეგიონერი

# შენგელია — ევროლიგის პლეი-ოფში

**„სასკი ბასკონიამ“ ევროლიგის პლეი-ოფში თამაში გაინაღდა. ესპანურმა კლუბმა რეგულარული სეზონის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე უშუალო კონკურენტი თელ-ავივის „მაკაბი“ ბოლო მეოთხედში გატეხა — 83:72.**

„ბასკონიას“ კაპიტანი თორნიკე შენგელია სასტარტო ხუთეულში ისევ არ ყოფილა. ჩვენებურმა პარკეტზე 20 წუთი გაატარა და ხსენებულ დროში 9 ქულა, 7 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა გაახერხა.

თორნიკემ 5-დან 3 ორქულიანი და 6-დან 3 საჯარიმო ჩააგდო, ხოლო მარგი ქმედების კოეფიციენტი 12-ს გაუტოლდა.

ვიტორიელები აქამდე მერვე ადგილზე იმყოფებოდნენ,, მაგრამ ამ გამარჯვებით ორი ადგილით დაწინაურდნენ. ამას ხელი კონკურენტის — „ხიმკის“ მარცხმა შეუწყო. აღსანიშნავია, რომ „ბასკონიამ“ ევროლიგაში ზედიზედ მეექვსე თამაში მოიგო შენგელიამ და მისმა თანაგუნდელებმა ბოლოს 22 თებერვალს ცსკა-სთან წააგეს.



ბასკები ბოლო ტურში 5 აპრილს უკანასკნელ საფეხურზე მყოფ „ანადოლუ ეფესს“ საკუთარ დარბაზში მიიღებენ.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ ფეხბურთი

# მესიმ შესაძლოა, დაისვენოს



**არგენტინის ეროვნული ნაკრების შემტევი ლიონელ მესი 29 მარტს კატალონიის „ბარსელონას“ ვარჯიშზე მცირედით გაისარჯა. როგორც AS-ი იუწყება, ფეხბურთელმა შესაძლოა ლა ლიგაში „სევილიასთან“ დღევანდელი მატჩი, ხოლო ჩემპიონთა ლიგაზე „რომასთან“ პირველი დაპირისპირება გამოტოვოს.**

მესიმ ტრავმის გამო სანაკრებო შეხვედრებში იტალიასთან და ესპანეთთან დაისვენა. იგი კლუბში სამედიცინო შემოწმებას კვლავ გაივლის და ამის შემდეგ ერნესტო ვალვერდეს ზუსტად ეცოდინება, როგორ დატვირთავს არგენტინელს მოახლოებულ ბრძოლებში.

მიმდინარე სეზონში მესიმ ყველა საკლუბო ტურნირზე 43 შეხვედრა ჩაატარა — გაიტანა 35 ბურთი და 16 საგოლე გადაცემა შეასრულა.

**გიორგი შოთაძე**

◎ ადამიანი დროში

# მუდამ წყალბურთთან ერთად



**ცხოვრების გზა სახელოვნად განვლო ტიტულოვანმა წყალბურთელმა და სანაქებო მათემატიკოსმა, პროფესორმა ლერი გოგოლაძემ. ყველგან, სადაც კი იღვაწა, სიკეთესა და სიყვარულს თესავდა და ამასვე იმკიდა სანაცვლოდ. დღესაც ასეა.**

სპორტს გვიან დაუმეგობრდა — მე-9 კლასში იყო, ცურვაზე რომ დაიწყო სიარული. მერე როსტომ ჩაჩავას რჩევით წყალბურთზე გადაინაცვლა და ამ სახეობის ერთგული დარჩა ბოლომდე. 1956 წელს ერთბაშად ორი ჯილდო ერგო — ჯერ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა სპარტაკიადაზე დაიკავა მე-2 ადგილი და შემდეგ სკოლაც ვერცხლის მედალზე დაამთავრა.

— მოსკოვში საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებმა მხოლოდ მასპინძლებთან წააგო და მე-2 ადგილი დაიკავა, — იხსენებს ბატონი ლერი ექვსი ათეული წლის წინანდელ ამბავს. — სპარტაკიადაზე სამი წყალბურთელი გამოგვარჩიეს: საუკეთესო მცველად გრიშინი, თავდამსხმელად — სემიონოვი, ხოლო მეკარედ მე დამასახელეს. მაშინდელი ჩვენი შემადგენლობიდან დიდ წყალბურთს მხოლოდ მე და გივი ჩიქვანაია შემოვრჩით...

მოსკოვიდან დაბრუნებისთანავე როსტომ ჩაჩავას ინიციატივით ბატონი ლერი თბილისის „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა გუნდში მიიწვიეს, რომლის ღირსებასაც 1972 წლამდე იცავდა, ხოლო საბჭოთა ნაკრებში 1958-1964 წლებში გამოდიოდა. ამ ხნის განმავლობაში ბევრჯერ ისახელა თავი: რომის ოლიმპიურ თამაშებში (1960), ევროპის ჩემპიონატსა (1962) და მსოფლიო უნივერსიადაზე (1963) ვერცხლის მედლები დაიმსახურა, საკავშირო ჩემპიონატებსა და საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადებზე რვაჯერ მეორე-მესამე ადგილებზე გავიდა, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულია. შეჯიბრებებზე მიღებულ საუკეთესო მეკარის პრიზებს თვლა არ აქვს. საბჭოთა კავშირის 21 საუკეთესო წყალბურთელს შორის ხუთჯერ დაასახელეს. მისთვის განსაკუთრებით დაუვიწყარია 1960 წლის რომის ოლიმპიური თამაშები. მარადიულ ქალაქში საბჭოთა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაშიც სამი ქართველი იყო (ლერი გოგოლაძე, გივი ჩიქვანაია, პეტრე მშვენიერაძე), მასპინძელთა შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა.

1963 წელს საბჭოთა წყალბურთელებმა იუგოსლაველებს სძლიეს, ფეხბურთელებმა კი ინგლისელებს მოუგეს. გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა“ დაწერა -— ჩვენების სახმელეთო და საწყლოსნო საზღვრები კარგად იყოო დაცული - ლევ იაშინი და ლერი გოგოლაძე შეაქო.

კერპი თუ გყავდათ-მეთქი, ვკითხე ერთხელ ბატონ ლერის. როცა წყალბურთში პეტრე მშვენიერაძე და ნოდარ გვახარია, მოგვიანებით კი გივი ჩიქვანაია ბრწყინავდნენ, კერპის ძებნა რა საჭირო იყოო, მითხრა.



დიდ სპორტთან განშორების მერე შესანიშნავმა წყალბურთელმა სპეციალობით განაგრძო მუშაობა - საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები დაიცვა. 1985-1987 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი გახლდათ, 1986 წლიდან კი დედაუნივერსიტეტში 20 წლის განმავლობაში ზოგადი მათემატიკის კათედრას ედგა სათავეში. ლერი გოგოლაძის ხელმძღვანელობით საქართველოს ნორჩ მათემატიკოსთა ნაკრებმა საერთაშორისო ოლიმპიადებში 11-ჯერ მიიღო მონაწილეობა და უამრავი ჯილდო დაიმსახურა.

საამაყო თანამემამულე დღესაც გზას უკვალავს ახალგაზრდებს მეცნიერების მწვერვალებისკენ, თუმცა, არც ჭაბუკობის სიყვარულს ივიწყებს. ამას წინათ ჩვენი ნაკრები ზედიზედ მესამედ რომ გავიდა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ამაგდარ პიროვნებას, რომელსაც ქართული წყალბურთის ბოლოდროინდელი წინსვლა და წარმატებები ახარებს, პირველ აპრილს 80 წელი უსრულდება.

იუბილეს გილოცავთ, ბატონო ლერი!

**ვაჟა დანელია**

◎ ინტერნეტიდან

# გაიცანით მშვენიერება

**უკრაინა უმშვენიერეს მდედრთა უძველესი ნავთსაყუდელი რომაა — ეს მხოლოდ საქართველოში კი არა, მთელს მსოფლიოში იციან. თუმცა, ამ დიდებულ ლამაზმანთა შორის გამორჩეულია ტანმოვარჯიშე ანა ბესონოვა, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ორი ოლიმპიური ბრინჯაოს მედლის მფლობელია, პოპულარობას მაინც სულ სხვა კუთხით იხვეჭს.**

იგი მოქმედი სპორტსმენია და თამამი გადაღებებისთვის დრო იშვიათად რჩება, მაგრამ ჩვენ



ხომ კარგად ვიცით, რომ რაოდენობაზე მთავარი ხარისხია. ჰოდა, როდესაც ფოტოკამერის წინ ეს ტანფეხოსანი ასული ლერწამისამებრ გადაიზნიქება, მის ნახვას არაფერი სჯობს.

სამშობლოში იძახიან, როდესაც ბუნების ქმნილება საბოლოოდ დაანებებს თავს სპორტს, საცხოვრებლად შესაძლოა ამერიკის შეერთებულ შტატებს მიაშუროსო, მაგრამ ჩვენ ამის არ გვჯერა. როგორ შეიძლება ამდენი თვალცრემლიანი და გულდარდიანი უკრაინელი მამრის უნუგეშოდ მიტოვება?! ეს ეკადრება ბესონოვას ქალს?...

**როსტომ რაჭველიშვილი**

# განაცხადი მომსახურების შესყიდვის შესახებ მოთხოვნა ინტერესის გამოხატვის შესახებ

**(საიდენტიფიკაციო კოდი: GTC/CS/ICS-01)**
**საკონსულტაციო მომსახურება**
**ტექნიკური კონსულტანტი**

**დაფინანსების წყარო:**
**საქართველო სატრანსპორტო კომუნიკაციის პროექტი**
**FI N 86.379**
**Serapis N 2016-0404**
**დამკვეთი ორგანო:** საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

**ინფორმაცია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესახებ**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაა. დეპარტამენტის პასუხისმგებლობაში შედის საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი გზების მართვა და ადმინისტრირება.

**პროექტის აღწერილობა**

ევროპის საინვესტიციო ბანკმა დააფინანსა საქართველოს მთავრობა საერთაშორისო და ეროვნული გზების მშენებლობის და რეაბილიტაციისთვის. საავტომობილო გზების დეპარტამენტს აქვს საერთო პასუხისმგებლობა ამ პროექტების განხორციელებაზე.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი გეგმავს რომ დაიქირაოს ტიქნიკური კონსულტანტი რათა გაზარდოს თავისი საინჟინრო შესაძლებლობები, ასევე შესაბამისი სამშენებლო სამსახურის ეფექტურობა და ეფექტიანობა, ისევე როგორც ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებზე მომუშავე გუნდის პოტენციალი.

დავალების სავარაუდო ხანგძლივობაა 2 წელი, კონტრაქტის ვადის გახანგრძლივება შესაძლებელია 2 წლის ვადით.

ტექნიკური კონსულტანატის მოვალეებები:

● სამუშაოების პროგრამის განხილვა კონტრაქტორთან და ინჟინერთან ერთად და შესაბამის ცვლილებებზე მუშაობა პროექტის განხორციელების გაუმჯობესების მიზნით.

● პროექტის მართვის შესაბამისი მეთოდოლოგიის დანერგვა და შემდგომი გამოყენება, რაც მოიცავს შიდა ანგარიშგებას და დოკუმენტაციის მართვის სისტემას. დავალების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ხარისხის კონტროლის შესაბამისი სისტემების გამოყენება და ანგარიშგება კონტრაქტორების და ინჟინრების მხრიდან რაც მათი ვალდებულების ნაწილია, ანგარიშგების და ხარისხის კონტროლის ღონისძიებების შესრულების შემოწმება.

● დახმარება პროექტის ფარგლებში გაფორმებული კონტრაქტების მართვაში რაც მოიცავს შემდეგს: 1. თითოეული კონტრაქტის ფარგლებში წარმოსადგენი ანგარიშების ხარისხის და მათი წარმოდგენის ვადების კონტროლი; 2. მონაწილეობა კონტრაქტების ფარგლებში წარმოქმნილი დავების და საჩივრების განხილვაში.

● სამშენებლო სამუშაოების ყოველდღიური მართვა, რაც მოიცავს კომუნიკაციას კონტრაქტორებსა და კონსულტანტებთან, სამშენებლო მოედნის რეგულარული დათვარელება, კვლებებისა და შესაბამისი ღონისძიებების ხარისხის კონტროლი, საინჟინრო და ტექნიკური საკითხების განხილვა და საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის შესაბამისი წინადადებების წარდგენა, ევროპის საინვესტიციო ბანკის მისიების ფარგლებში ორგანიზებულ შეხვედრებში მონაწილეობა და მისიებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება.

● გამოსასწორებელ ღონისძიებების განხორციელების კონტროლი და კონტაქტორის შესაბამისი მიდგომათა მონიტორინგი.

● კომუნიკაცია კონტრაქტორისა და კონსულტანტის სამშენებლო მოედნის მართვის გუნდებთან, საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესაბამის თანამშრომლებთან, ევროპის საინვესტიციო ბანკთან და საჭიროების შემთხვევაში სხვა მხარეებთან.

● მგრადი პროგრესის უზრუნველყოფა განხორციელების გრაფიკისა და შესრულების ინდიკატორების თანახმად.

● საავტომობილო გზების დეპარტამენტის დახმარება დავებისა და საჩივრების განხილვაში და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

● საავტომობილო გზების დეპარტამენტის დახმარება პროექტის განხილვის პროცესში.

● შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება ვარიაციების მომზადებასა და პროექტის ცვლილების შემთხვევებში.

● პროექტის განხორციელების პროცესში ეთიკური სტანდარტებისა და გამჭირვალობის უზრუნველყოფა.

● პროქტის განხორციელების კონსულტანტისათვის დახმრების გაწევა შესყიდვებისა და კონტრაქტების მართვის საკითხებში.

● კონტრაქტორების, კონსულტანტებისა და ევროპის საინვესტიციო ბანკისათვის გასაგზავნი კორესპონდენციის მომხადება.

● ინჟინრისა და კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების განხილვა, ანალიზი და კომენტარების მომზადება საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შეთანხმების საფუძველზე.

● განხორცილებების კონსულტანტისათვის დახმარების გაწევა პროქტის პროგრესის ანგარიშების მომზადებაში.

● განხორცილებების კონსულტანტისათვის დახმარების გაწევა მოსალოდნელი ჩამორიცხვების გათვლაში.

სავარუადო ბიუჯეტი გადასახადების გარეშე, ხელფასისა და ანაზღაურებადი ხარჯების ჩათვლით: 225,000 ლარი (ორას ოცდახუთი ათასი)

შერჩევის პროცესში გამოყენებული იქნება ევროპის საინვესტიციო ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელო- GUIDE TO PROCUREMENT for projects financed by the EIB Updated version of June 2011:

http://www.eib.org/attachments/strategies/procurement_en.pdf

შერჩევაში მონაწილეობის მიღების უფლება განისაზღვრება ევროპის საინვესტიციო ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელოსა და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მათ გააჩნიათ შესაბამისი გამოცდილება. კანდიდატების CV- ები უნდა მოიცავდეს პროექტის საქმიანობასთან დაკავშირებულ გამოცდილებას.

დავალების მოსალოდნელი დაწების თარიღია 2018 წლის მაისი და მიდი ხანგრძლივობა კი 2 წელი. იმ შემთხვევაში თუ იქნება დამკვეთის მხრიდან აღნიშნული პოზიციის შემდგომი საჭიროება და კონსულტანტის მხრიდან დამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგი, კონტრაქტი შესაძლოა გაგრძელდეს მომდევნო 2 წლის ვადით.

**შერჩევის პროცესი:**

ინდივიდუალური კონსულტანტები იქნებიან შერჩეული მათი გამოცდილების, კვალიფიკაციის და შესაძლებლობების საფუძველზე. კანდიდატები წარმოადგენენ თავფურცელს და CV-ს რომელსაც დამკვეთი შეაფასებს შემდგები კრიტერიუმების თანახმად: განათლება და ენების ცოდნა (კი/არა კრიტერიუმი), ზოგადი გამოცდილება (20%), შესაბამისი ანალოგიური გამოცდილება (60%) და დამატებითი გამოცდილება რომლის ქონაც ჩაითველბა უპირატებოსად (20%). შერჩევა განხორციელდება არანაკლედ სამი (3) კანდიდატის შედარების საფუძველზე. საავტომობილო გზების დეპარტამენტი უფლებას იტოვებს გაესაუბროს კანდიდატებს რომლებიც აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ამასთან, დეპარტამენტი უფლებამოსილია გადაამოწმოს კანდიდატების მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო ინფორმაცია და მიღებული ცნობები გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.

პირები, რომელთაც გააჩნიათ ქვემოთ მოცემული გამოცდილება და კვალიფიკაცია ჩაითვლებიან საუკეთესო კანდიდატებად. საკონტრაქტო მოლაპარაკებები, რომელზეც განხილული იქნება ხელფასი და სხვა ანაზღაუებადი ხარჯები, გაიმართება უმაღლესი ქულის მქონე კანდიდატთან. იმ შემთხვევაში, თუ საკონტრაქტო მოლაპარაკებები უმაღლესი შეფასების მქონე კონსულტანტთან ვერ მოხერხდა/ჩაიშალა, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი საკონტრაქტო მოლაპარაკებებს გამართავს შემდეგ, მეორე უმაღლესი ჯამური ქულის მქონე კანდიდატთან.

**კონსულტანტის საკვალიფიკაციო კრიტერიუმები:**

<u>სავალდებულო მოთხოვნები:</u>

● ინჟინერის მაგისტრის ხარისხი ან ექვივალენტი;

● ინგლისური და ქართული ენების კარგი ცოდნა;

<u>ზოგადი გამოცდილება:</u>

● არანაკლებ 8 წლისა;

<u>სპეციფიკური გამოცდილება:</u>

● არანაკლებ 5 წლის გამოცდილება ავტომაგისტრალის მშენებლობაში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში;

● არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება ბანკების მიერ ჰარმონიზებული FIDIC-ის ვერსიაზე;

● AutoCAD-ის ცოდნა

<u>უპირატესობები:</u>

● FIDIC კონტრაქტების ფარგლებში საჩივრების მართვის გამოცდილება;

● FIDIC ტრენინგები;

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ელ.ფოსტაზე: info@georoad.ge

თავფურცლისა და CV-ს წარდგენა უნდა მოხდეს ინგლისურ ენაზე დამკვეთ ორგანოსთან არა უგვიანეს 2018 წლის 16 აპრილისა, 16:00 საათზე ადგილობრივი დროით:

● გამოაგზავნეთ ელექტრონულად (ელექტრონული ფოსტით):

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ბატონი ლევან კუპატაშვილი, თავჯდომარის მოადგილე

ელექტრონული ფოსტა: info@georoad.ge

● ან ჩააბარეთ დამკვეთ ორგანოს (საფოსტო მომსახურებების ჩათვლით) მისამათზე:

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ბატონი ლევან კუპატაშვილი, თავჯდომარის მოადგილე

საქართველო 0160, ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №12

# SERVICE PROCUREMENT NOTICE REQUEST FOR EXPRESSION OF INTEREST

**(Reference Code GTC/CS/ICS-01)**
**CONSULTANCY SERVICES FOR TECHNICAL CONSULTANT**

**Source of Financing:**
**Georgia Transport Connectivity (GTC) Project**
**FI N 86.379**
**Serapis N 2016-0404**
**Contracting Authority:** Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RD)

*Background on the Roads Department*

The Roads Department is the subordinated agency of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (MRDI) and is responsible for the management and administration of the International and Secondary Road infrastructure under the responsibility of MRDI.

*Background on the Project*

The EIB has provided funding to the Georgian Government for the new construction and rehabilitation of international and national roads on the Georgian road network. The RD has an overall responsibility for implementation of these Projects.

The RD intends to hire an individual as a Technical Consultant (afterwards "the Consultant") in order to enhance its engineering capacity and facilitate the efficiency and effectiveness of the relevant construction division as well as the team working on the EIB portfolio within the RD.

The estimated duration of the assignment will be 2 year with a possibility of further 2 years extension.

The duties and responsibilities of Technical Consultant shall include the following:

● Review the Program of Works for the Projects together with the contractor and Engineer and support the adjustments to RD management and EIB to improve project performance.

● Put in place and manage an appropriate contract management methodology, including internal reporting instruments and document management system. A critical part of the assignment is to assure the implementation and management of robust quality control systems and reporting by contractors and supervision engineer as part of their contractual obligations, and maintain an overall table summarizing compliance of all of them with regard to their reporting and quality control operations.

● Assist in administration of all contracts carried out under the project. This includes (i) reviewing the quality and timeliness of deliverables under each contract; (ii) facilitating resolution of disputes and grievances related to the contracts.

● Carry out day-to-day management of the civil works. This includes communication with contractors and consultants, regular project site visits and verification of the quality of all related studies and activities, review of engineering and technical issues related to the project and provide relevant suggestions to RD, participation in meetings with EIB missions and providing information requested by the missions.

● Ensure remedial measures for improving quality are implemented when required, and monitor the contractors' approach to rectifying non-compliance.

● Communicate effectively with the contractor's and consultant's site management teams, the staff of the RD, European Investment Bank's team and the wider community, where required.

● Ensure steady progress in accordance with the implementation schedule and agreed performance indicators.

● Support the RD in resolving site disputes, contractor grievances, claims, review and recommend to the RD measures to resolve them.

● Assist the RD in design review process.

● Support and recommend the RD on possible variation orders as well as design changes.

● Ensure that a high ethical standard and transparency is maintained throughout the project implementation.

● Assist the Implementation Consultant in the procurement and contract management

● Draft project correspondence addressed to the contractors, consultants and European Investment Bank.

● Review reports submitted by the Engineer and Consultants, provide analysis and prepare comments in agreement with the Roads Department.

● Assist the Implementation Consultant in preparation of Project Progress Reports.

● Assist the Implementation Consultant in disbursement forecast.

NET Estimated Budget, including remuneration and reimbursable: GEL 225,000 (Two Hundred Twenty Five Thousand Georgian Lari)

Applicable guidelines are GUIDE TO PROCUREMENT for projects financed by the EIB Updated version of June 2011:

http://www.eib.org/attachments/strategies/procurement_en.pdf

Eligibility as per the EIB's Guide to Procurement and relevant local legislation shall be applicable.

Interested individuals shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. CVs of the candidates should cover experience relevant to the project activities.

The Assignment is expected to be commenced in May 2018 for a duration of 2 years. Subject to satisfactory performance of the candidate and Contracting Authority's further need, the contract may be extended for another two years.

<u>Selection Process:</u>

Individual consultants are selected on the basis of their relevant experience, qualifications, and capability to carry out the assignment. Candidates shall submit a Cover Letter together with the CV for the assessment of the Contracting Authority on the basis of academic background and knowledge of languages (yes/no criteria), general experience (20%), relevant specific experience (60%), and, additional experience which will be considered as advantage (20%) as stated below. The selection shall be carried out through the comparison of the relevant capacity of at least three candidates among those who have expressed interest. The RD reserves the right to undertake interviews with the candidates that comply with the qualification criteria. RD also reserves the right to verify the submitted references and use obtained information for evaluation purposes. The individuals included in the relevant ranking based on the qualification criteria prescribed below shall be the most experienced and best qualified, and shall be fully capable of carrying out the assignment. The Contracting Authority shall negotiate a contract with the highest ranked individual consultant, including reasonable fees and other expenses. In case the negotiations fail with the highest qualified candidate, the RD shall proceed with inviting the next ranked individual for contract negotiations.

Qualification Criteria of the Consultant:

<u>Mandatory requirements:</u>

● Master's Degree in Civil Engineering or equivalent;

● Strong command of English and Georgian languages;

<u>General Experience:</u>

● Minimum 8 years of overall general experience;

<u>Specific Experience:</u>

● Minimum 5 years of experience in highway construction under IFI funded projects;

● Minimum 5 years of experience in working under FIDIC MDB Harmonized Conditions of Contract;

● Knowledge of AutoCAD'

<u>Advantages</u>:

● Experience in Claim Management under FIDIC contracts;

● FIDIC Training/Workshops;
